

**უხსო ქვეყნის სასამართლო  
გადაწყვეტილებების  
საქართველოს ტერიტორიაზე  
ხმოვა და აღსრულება**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## განჩინება

№ა-2768-შ-56-2012

ოქტომბერი, 2012 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატის

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარე მოითხოვს – ერევნის არაბკირ და ქანაქერ-ზეითუნ საადმინისტრაციო მუნიციპალიტეტის საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 1 თებერვლის განაჩენი

### აღწერილობითი ნაწილი:

ერევნის არაბკირ და ქანაქერ-ზეითუნ საადმინისტრაციო მუნიციპალიტეტის საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 1 თებერვლის განაჩენით ვ. გ-ო დამნაშავედ იქნა ცნობილი სომხეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის 2-ე ნაწილი 2-ე, 3-ე პუნქტებით და 34-177-ე მუხლის 2-ე ნაწილის 3-ე 4-ე პუნქტებით და ვ. ა-ის ძე გ-ს ა. მ-ის ასული ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა დანაშაულით მიყენებული ზარალის – 175. 000 (ას სამოცდათხუთმეტი ათასი) სომხეთის რესპუბლიკის დრამის ანაზღაურება.

ა. ბ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ერევნის არაბკირ და ქანაქერ-ზეითუნ საადმინისტრაციო მუნიციპალიტეტის საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 1 თებერვლის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 ივლისის განჩინებით ა. ბ-ის შუამდგომლობა ერევნის არაბკირ და ქანაქერ-ზეითუნ საადმინისტრაციო მუნიციპალიტეტის საერთო იურისდიქციის პირველი ინ-

სტანციის სასამართლოს 2011 წლის 1 თებერვლის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებული იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ა. ბ-ის შუამდგომლობა ერევნის არაბკირ და ქანაქერ-ზეითუნ საადმინისტრაციო მუნიციპალიტეტის საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 1 თებერვლის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ერევნის არაბკირ და ქანაქერ-ზეითუნ საადმინისტრაციო მუნიციპალიტეტის საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 1 თებერვლის განაჩენით ვ. გ-ო დამნაშავედ იქნა ცნობილი სომხეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის 2-ე ნაწილი 2-ე, 3-ე პუნქტებით და 34-177-ე მუხლის 2-ე ნაწილის 3-ე 4-ე პუნქტებით და ვ. ა-ის ძე გ-ს ა. მ-ის ასული ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა დანაშაულით მიყენებული ზარალის – 175. 000 (ას სამოცდათხუთმეტი ათასი) სომხეთის რესპუბლიკის დრამის ანაზღაურება.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ განაჩენი, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 1 მარტს, ასევე დასტურდება, რომ მოცემული განაჩენი სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა. მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამატკიცებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, ერევნის არაბკირ და ქანაქერ-ზეითუნ საადმინისტრაციო მუნიციპალი-

ტეტის საერთო იურიდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 1 თებერვლის განაჩენი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

ა. ბ-ის შუამდგომლობა ერევნის არაბკირ და ქანაქერ-ზეითუნ საადმინისტრაციო მუნიციპალიტეტის საერთო იურიდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 1 თებერვლის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად ერევნის არაბკირ და ქანაქერ-ზეითუნ საადმინისტრაციო მუნიციპალიტეტის საერთო იურიდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 1 თებერვლის განაჩენი, რომლითაც ვ. გ-ო დამნაშავედ იქნა ცნობილი სომხეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის 2-ე ნაწილი 2-ე, 3-ე პუნქტებით და 34-177-ე მუხლის 2-ე ნაწილის 3-ე 4-ე პუნქტებით და ვ. ა-ის ძე გ-ს ა. მ-ის ასული ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა დანაშაულით მიყენებული ზარალის – 175. 000 (ას სამოცდათხუთმეტი ათასი) სომხეთის რესპუბლიკის დრამის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანრინება

№ა-2769-შ-57-2012

8 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატამ  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

განიხილა მ. ვ. ქ. ფ-ს შუამდგომლობის დასაშვებობის საკით-  
ხი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოს ნასიმინის რაიონ-  
ული სასამართლოს 2011 წლის 5 ოქტომბრის დადგენილების  
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესა-  
ხებ მ. ვ. ქ-ს სარჩელის გამო, მოპასუხე ო. ი-ი ო. ფ-ს მიმართ  
განქორწინება, აღიმენცის დაკისრება.

### აღწერილობითი ნაწილი:

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოს ნასიმინის რაიონ-  
ული სასამართლოს 2011 წლის 5 ოქტომბრის დადგენილებით  
დაადგინა, რომ ნასიმინის რაიონის მმარის განყოფილების 1999  
წლის 28 ივლისს (რეგისტრაციის ნომერი №311) რეგისტრირე-  
ბული წყვილის ქორწინება გაუქმდა. ო. ი-ი ო. ფ-სა და მ. ვ. ქ. ლ-  
ი, დაბადებული 1996 წლის 10 დეკემბერს, დარჩა მ. ვ. ქ. ფ-სთან  
ერთად; ამავე დადგენილებით 2011 წლის 1 ივნისიდან დაწყე-  
ბული მოპასუხეს დაეკისრა ყოველთვიური აღიმენცის გადახ-  
და სტაბილური ფულადი თანხის ოდენობით 150 მანათი ი-ი ო. ო.  
ფ-ს (დაბადებული 1996 წლის 10 დეკემბერს) მის მიერ სრულ-  
წლოვანების ასაკის მიღწევამდე.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011  
წლის 10 ნოემბერს და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტო-  
რიაზე არ აღსრულებულა.

მ. ვ. ქ. ფ-მ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზე-  
ნაეს სასამართლოს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოს  
ნასიმინის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 5 ოქტომბრის  
დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღ-  
სრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 9 ივლისის განჩინებით მ. ვ. ქ. ფ-ს შუამდგომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოს ნასიმინის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 5 ოქტომბრის დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ წარმოებაში იქნა მიღებული.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატა გაცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ მ. ვ. ქ. ფ-ს შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოს ნასიმინის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 5 ოქტომბრის დადგენილებით დაადგინა, რომ ნასიმინის რაიონის მმართველის განყოფილების 1999 წლის 28 ივლისს (რეგისტრაციის ნომერი №311) რეგისტრირებული წყვილის ქორწინება გაუქმდა. ო. ი-ი ო. ფ-სა და მ. ვ. ქ. ლ-ი, დაბადებული 1996 წლის 10 დეკემბერს, დარჩა მ. ვ. ქ. ფ-სთან ერთად; ამავე დაგენილებით 2011 წლის 1 ივნისიდან დაწყებული მოპასუხეს დაეკისრა ყოველთვიური ალიმენტის გადახდა სტაბილური ფულადი თანხის ოდენობით 150 მანათი ო-ი ო. ფ-ს (დაბადებული 1996 წლის 10 დეკემბერს) მის მიერ სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 10 ნოემბერს და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამატკობლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოს ნასიმინის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 5 ოქტომბრის დადგენილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1 მ. ვ. ქ. ფ-ს შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოს ნა-სიმინის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 5 ოქტომბრის დადგენილება, რომლითაც, 2011 წლის 1 ივნისიდან დაწყებული მოპასუხეს დაეკისრა ყოველთვიური ალიმენტის გადახდა სტაბილური ფულადი თანხის ოდენობით 150 მანათი ი-ი ო. ო. ფ-ს (დაბადებული 1996 წლის 10 დეკემბერს) მის მიერ სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანრინება

№ა-849-შ-21-2012

15 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატამ  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

განიხილა სომხეთის რესპუბლიკის მ. ლ-ის საერთო იურის-  
დიქციის სასამართლოს მოსამართლის ნ. ო-ის შუამდგომლობის  
დასაშვებობის საკითხი სომხეთის რესპუბლიკის მ. ლ-ის საერ-  
თო იურისდიქციის სასამართლოს 2011 წლის 13 სექტემბრის გა-  
ნაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულე-  
ბის შესახებ ა. რ-ს ძე კ-ის მიმართ თანხის დაკისრება.

### აღწერილობითი ნაწილი:

სომხეთის რესპუბლიკის მ. ლ-ის საერთო იურისდიქციის სა-  
სამართლოს 2011 წლის 13 სექტემბრის განაჩენით ა. რ-ის ძე კ-  
ი ცნობილ იქნა დამნაშავედ სომხეთის რესპუბლიკის სისხლის  
სამართლის 188-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად და დაე-  
კისრა ჯარიმა, რაც დადგენილია სომხეთის რესპუბლიკის მინი-  
მალური ხელფასის სახით – სომხეთის რესპუბლიკის 400.000  
(ოთხასი ათასი) დრამი. ამავე განაჩენით გამოყენებულ იქნა სომ-  
ხეთის რესპუბლიკის ეროვნული კრების დადგენილების 1-ლი  
პუნქტის მე-3 ქვეპუნქტი „სომხეთის რესპუბლიკის ამნისტიის  
გამოცხადების შესახებ ოცი წლისთავთან დაკავშირებით“, რო-  
მელიც მიღებული იქნა 2011 წლის 26 მაისს და გათავისუფლე-  
ბულ იქნა ა. რ-ის ძე კ-ი სასჯელისაგან. აღკვეთის ღონისძიება  
გაუქმებული იქნა ხელწერილი გაუსვლელობის შესახებ. ამავე  
განაჩენით დაკმაყოფილდა სარჩელი. სოლიდარული წესით ა. რ-  
ის ძე კ-სა და ა. ა-ის ძე ვ-ს დაეკისრა 668.000 დრამის გადახდა  
სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდე-  
ლად, მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით, რაც მიყენე-  
ბულია სახელმწიფოსათვის ამ დანაშაულით.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011  
წლის 14 ოქტომბერს და არ აღსრულებულა.



სომხეთის რესპუბლიკის მ. ლ-ის საერთო იურისდიქციის სასამართლოს მოსამართლემ ნ. ო-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა სომხეთის რესპუბლიკის მ. ლ-ის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2011 წლის 13 სექტემბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 9 მარტის განჩინებით სომხეთის რესპუბლიკის მ. ლ-ის საერთო იურისდიქციის სასამართლოს მოსამართლის ნ. ო-ის შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის მ. ლ-ის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2011 წლის 13 სექტემბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ სომხეთის რესპუბლიკის მ. ლ-ის საერთო იურისდიქციის სასამართლოს მოსამართლის ნ. ო-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ სომხეთის რესპუბლიკის მ. ლ-ის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2011 წლის 13 სექტემბრის განაჩენით ა. რ-ის ძე კ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ სომხეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად და დაეკისრა ჯარიმა, რაც დადგენილია სომხეთის რესპუბლიკის მინიმალური ხელფასის სახით – სომხეთის რესპუბლიკის 400.000 (ოთხასი ათასი) დრამი. ამავე განაჩენით გამოყენებულ იქნა სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული კრების დადგენილების პირველი პუნქტის მესამე ქვეპუნქტი „სომხეთის რესპუბლიკის ამნისტიის გამოცხადების შესახებ ოცი წლისთავთან დაკავშირებით“, რომელიც მიღებული იქნა 2011 წლის 26 მაისს და გათავისუფლებულ იქნა ა. რ-ის ძე კ-ი სასჯელისაგან. აღკვეთის ღონისძიება გაუქმებული იქნა ხელწერილი გაუსვლელობის შესახებ. ამავე განაჩენით დაკმაყოფილდა სარჩელი. სოლიდარული წესით ა. რ-ს ძე კ-სა და ა. ა-ის ძე ვ-ს დაეკისრა 668.000 დრამის გადახდა სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელად, მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით, რაც მიყენებულია სახელმწიფოსათვის ამ დანაშაულით. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 14 ოქტომბერს და არ აღსრულებულა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს

კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, სომხეთის რესპუბლიკის მ. ლ-ის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2011 წლის 13 სექტემბრის განაჩენის საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. სომხეთის რესპუბლიკის მ. ლ-ის საერთო იურისდიქციის სასამართლოს მოსამართლის ნ. ო-ის შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის მ. ლ-ის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2011 წლის 13 სექტემბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად სომხეთის რესპუბლიკის მ. ლ-ის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2011 წლის 13 სექტემბრის განაჩენი იმ ნაწილში, რომლითაც ა. რ-ს ძე კ-ს დაეკისრა 668.000 დრამის გადახდა სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელად, მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით, რაც მიყენებულია სახელმწიფოსათვის ამ დანაშაულით.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანჩინება

№ა-3660-შ-74-2012

15 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატამ  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

განიხილა ქალაქ მინსკის ცენტრალური რაიონის სასამართლოს მოსამართლის ლ. ი-ის შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხი ქალაქ მინსკის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2006 წლის 17 თებერვლის და 22 თებერვლის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ თ. ა-ს ძე შ-ის, მიმართ თანხის დაკისრება.

### აღწერილობითი ნაწილი:

ქალაქ მინსკის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2006 წლის 17 თებერვლის განაჩენით თ. ა-ს ძე შ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ ბელორუსიის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 13-ე მუხლის, 208-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. ამავე განაჩენით თ. ა-ს ძე შ-ეს დაეკისრა ქალაქ მინსკის ცენტრალური რაიონის ადმინისტრაციის ფინანსური განყოფილების სასარგებლოდ ადვოკატის იურიდიული დახმარების განვეის ხარჯის გადახდა 285 810 (ორას ოთხმოცდახუთი ათასი რვაასათი) ბელორუსული რუბლის ოდენობით. ამავე სასამართლოს 22 თებერვლის დადგენილებით თ. ა-ს ძე შ-ეს, ს. ვ-ს ძე ა-ს დაეკისრა ბელორუსიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი გამოძიების მთავარი სამმართველოს სასარგებლოდ ექსპერტიზის ჩატარების ხარჯების ანაზღაურების ჩათვლით თითოეულისგან 216 160 (ორასთექვსმეტი ათას ას სამოცი) ბელორუსული რუბლის ოდენობით.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2006 წლის 28 მარტს და არ აღსრულებულა.

ქალაქ მინსკის ცენტრალური რაიონის სასამართლოს მოსა-

მართლე ლეონიდე სტანისლავის ძე იასენოვიჩმა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ქალაქ მინსკის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2006 წლის 17 თებერვლის და 22 თებერვლის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით ქალაქ მინსკის ცენტრალური რაიონის სასამართლოს მოსამართლის ლეონიდე სტანისლავის ძე იასენოვიჩის შუამდგომლობა ქალაქ მინსკის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2006 წლის 17 თებერვლის და 22 თებერვლის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებამი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ქალაქ მინსკის ცენტრალური რაიონის სასამართლოს მოსამართლის ლ. ი-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ქალაქ მინსკის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2006 წლის 17 თებერვლის განაჩენით თ. ა-ს ძე შ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ ბელორუსიის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 13-ე მუხლის, 208-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. ამავე განაჩენით თ. ა-ს ძე შ-ეს დაეკისრა ქალაქ მინსკის ცენტრალური რაიონის ადმინისტრაციის ფინანსური განყოფილების სასარგებლოდ ადვოკატის იურიდიული დახმარების განევის ხარჯის გადახდა 285 810 (ორას ოთხმოცდახუთი ათასი რვაასათი) ბელორუსული რუბლის ოდენობით. ამავე სასამართლოს 22 თებერვლის დადგენილებით თ. ა-ს ძე შ-ეს დაეკისრა ბელორუსიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი გამოძიების მთავარი სამმართველოს სასარგებლოდ ექსპერტიზის ჩატარების ხარჯის ანაზღაურება 216 160 (ორასთექვსმეტი ათას ას სამოცი) ბელორუსული რუბლის ოდენობით. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2006 წლის 28 მარტს და არ აღსრულებულა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კა-

ნონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა. საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, ქალაქ მინსკის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2006 წლის 17 თებერვლის და 22 თებერვლის განაჩენი იმ ნაწილში, რომლითაც თ. ა-ს ძე შ-ეს დაეკისრა ქალაქ მინსკის ცენტრალური რაიონის ადმინისტრაციის ფინანსური განყოფილების სასარგებლოდ ადვოკატის იურიდიული დახმარების განწვეის ხარჯის გადახდა 285 810 (ორას ოთხმოცდახუთი ათასი რვაასათი) ბელორუსული რუბლის ოდენობით და ამავე სასამართლოს 22 თებერვლის დადგენილებით თ. ა-ს ძე შ-ეს დაეკისრა ბელორუსიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი გამოძიების მთავარი სამმართველოს სასარგებლოდ ექსპერტიზის ჩატარების ხარჯის ანაზღაურება 216 160 (ორასთექვსმეტი ათას ას სამოცი) ბელორუსული რუბლის ოდენობით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით და

## დაადგინა:

1. ქალაქ მინსკის ცენტრალური რაიონის სასამართლოს მოსამართლის ლ. ი-ის შუამდგომლობა ქალაქ მინსკის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2006 წლის 17 თებერვლის და 22 თებერვლის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად ქალაქ მინსკის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2006 წლის 17 თებერვლის განაჩენი იმ ნაწილში, რომლითაც თ. ა-ს ძე შ-ეს დაეკისრა ქალაქ მინსკის ცენტრალური რაიონის ადმინისტრაციის ფინანსური განყოფილების სასარგებლოდ ადვოკატის იურიდიული დახმარების განვეის ხარჯის გადახდა 285 810 (ორას ოთხმოცდახუთი ათასი რვაასათი) ბელორუსული რუბლის ოდენობით და ამავე სასამართლოს 22 თებერვლის დადგენილებით თ. ა-ს ძე შ-ეს დაეკისრა ბელორუსიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი გამოძიების მთავარი სამმართველოს სასარგებლოდ ექსპერტიზის ჩატარების ხარჯის ანაზღაურება 216 160 (ორასთექვსმეტი ათას სამოცი) ბელორუსული რუბლის ოდენობით;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანჩინება

№გ-80-შ-3-2013

11 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** ქმედუუნაროდ ცნობა

### აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის ბუტირკის რაიონული სა-  
სამართლოს 2012 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით ა.  
თ.-ძე ჩ-ა (დაბადებული ... წლის ... მაისს, რეგისტრირებული მი-  
სამართზე: ქ. მოსკოვი, ბ-ის ქუჩა, სახლი 12 „გ“, ბინა №9) ცნო-  
ბილ იქნა ქმედუუნაროდ.

მ. ზ-ამ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს  
სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტი-  
ლების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორმა განმარტა, რომ ა. ჩ-ა არის მისი  
შვილი, რომელიც დაავადებულია ქრონიკული ფსიქიკური აშ-  
ლილობითა და მძიმე გონებრივი ჩამორჩენილობით. აღნიშნუ-  
ლი საფუძვლით მას რუსეთში დანიშნული აქვს ინვალიდობის  
პენსია. 2013 წლის 11 იანვარს შუამდგომლობის ავტორმა გან-  
ცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენ-  
ტოს ზუგდიდის ტერიტორიულ ორგანოს და მოითხოვა დასა-  
ხელებული გადაწყვეტილების საფუძველზე ქმედუუნაროდ  
აღიარებული შვილის მეურვედ მისი დანიშნა. მ. ზ-ას ხსენე-  
ბული განცხადების დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა იმ მიზე-  
ზით, რომ რუსეთის სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილე-  
ბა არ არის აღიარებული საქართველოს უზენაესი სასამარ-  
თლოს მიერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2013 წლის 11 თებერვლის განჩინებით მ. ზ-ას შუ-  
ამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ მ.ზ-ას შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ რუსეთის ფედერაციის ქ.მოსკოვის ბუტირკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით ა. თ. ძე რ-ა (დაბადებული ... წლის ... მაისს, რეგისტრირებული მისამართზე: ქ. მოსკოვი, ბ-ის ქუჩა, სახლი 12 „გ“, ბინა №9) ცნობილ იქნა ქმედუუნაროდ.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, რუსეთის ფედერაციის ქ.მოსკოვის ბუტირკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ა. თ. ძე რ-ა (დაბადებული ... წლის ... მაისს, რეგისტრირებული მისამართზე: ქ.მოსკოვი, ბ-ის ქუჩა, სახლი 12 „გ“, ბ. №9) ცნობილ იქნა ქმედუუნაროდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მ. ზ-ას შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ.მოსკოვის ბუტირკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 11 სექტემბრის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;



2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას რუსეთის ფედერაციის ქ.მოსკოვის ბუტირკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ა. თ. ძე ჩ-ა (დაბადებული ... წლის ... მაისს, რეგისტრირებული მისამართზე: ქ.მოსკოვი, ბ-ის ქუჩა, სახლი 12 "გ", ბინა №9) ცნობილ იქნა ქმედუვნაროდ.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-4928-შ-101-2012

11 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე**

**დავის საგანი:** განქორწინება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

უკრაინის დნეპროპეტროვსკის ოლქის ქ.კრივიო როგის ცენტრალურ-საქალაქო რაიონული სასამართლოს 2011 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებით გ. პ. ასული გ-ას სარჩელი მოპასუხე გ. თ-ის მიმართ დაკმაყოფილდა: გაუქმდა მხარეებს – გ. თ-სა და გ. პ. ასულ გ-ას შორის, 2009 წლის 4 მარტს, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სიღნაღის სამსახურის მიერ რეგისტრირებული ქორწინება (სააქტო ჩანაწერი №49200930081); დადგინდა, რომ განქორწინების შემდეგ მოსარჩელის გვარად დარჩენილიყო „გ-ა“, ხოლო მოპასუხის გვარად – „თ-ე“.

გ. თ-ემ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითიებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა მასა და მოპასუხეს შორის განქორწინების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 ივლისის განჩინებით გ. თ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ გ.თ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ უკრაინის დნეპროპეტროვსკის ოლქის ქ.კრივოი როგის ცენტრალურ-საქალაქო რაიონული სასამართლოს 2011 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებით (საქმე №2-3304-2010 პ) გ.პ. ასული გ-ას სარჩელი მოპასუხე გ. თ-ის მიმართ დაკმაყოფილდა: გაუქმდა მხარეებს – გ. თ-სა და გ. პ. ასულ გ-ას შორის, 2009 წლის 4 მარტს, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სიღნაღის სამსახურის მიერ რეგისტრირებული ქორწინება (სააქტო ჩანაწერი №49200930081).

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, უკრაინის დნეპროპეტროვსკის ოლქის ქ.კრივოი როგის ცენტრალურ-საქალაქო რაიონული სასამართლოს 2011 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე 2-3304-2010 პ) იმ ნაწილში, რომლითაც გ. პ. ასული გ-ას სარჩელი მოპასუხე გ. თ-ის მიმართ დაკმაყოფილდა: გაუქმდა მხარეებს – გ. თ-სა და გ. პ. ასულ გ-ას შორის, 2009 წლის 4 მარტს, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სიღნაღის სამსახურის მიერ რეგისტრირებული ქორწინება (სააქტო ჩანაწერი №49200930081), საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხ-

ლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. გ. თ-ის შუამდგომლობა უკრაინის დნეპროპეტროვსკის ოლქის ქ.კრივოი როგის ცენტრალურ-საქალაქო რაიონული სასამართლოს 2011 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილების (საქმე 2-3304-2010 პ) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას უკრაინის დნეპროპეტროვსკის ოლქის ქ.კრივოი როგის ცენტრალურ-საქალაქო რაიონული სასამართლოს 2011 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე 2-3304-2010 პ) იმ ნაწილში, რომლითაც გ. პ.ასული გ-ას სარჩელი მოპასუხე გ.თ-ის მიმართ დაკმაყოფილდა: გაუქმდა მხარეებს – გ. თ-სა და გ. პ. ასულ გ-ას შორის, 2009 წლის 4 მარტს, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სიღნაღის სამსახურის მიერ რეგისტრირებული ქორწინება (სააქტო ჩანაწერი №49200930081).

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-761-შ-10-2013 25 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის ხანტი-მანსიისკის ავტონომიურ ოლქ იუგრის საოლქო მნიშვნელობის ქალაქ სურგუტას N5 სასამართლო უზნის მომრიგებელი სასამართლოს 2012 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით ირკუტსკის ოლქის სასჯელაღსრულების ფედერალური სამსახურის მთავარი სამმართველოს №15 გამოსასწორებელი კოლონიის სარჩელი ბ. ჭ-ის მიმართ დაკმაყოფილდა, ბ. ჭ-ეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 57 რუბლისა და 75 კაპიკის გადახდა, ამავე გადაწყვეტილებით, მოპასუხე ბ. ჭ-ეს ქ.სურგუტის მუნიციპალური საქალაქო ოლქის ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 400 რუბლის გადახდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა რუსეთის ფედერაციის ხანტი-მანსიისკის ავტონომიურ ოლქ იუგრის საოლქო მნიშვნელობის ქალაქ სურგუტას №5 სასამართლო უზნის მომრიგებელმა სასამართლომ და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი სასამართლო ბეჭდით დამონშებული გადაწყვეტილების თანახმად, მოპასუხე საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე სათანადოდ იყო ინფორმირებული, თუმცა სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულა და არც საქმის განხილვის გადადების შესახებ შუამდგომლობით მიუმართავს სასამართლოსათვის, სასამართლოს მიერ გაცემული ცნობით ასევე ირკვევა, რომ მოპასუხეს ჩაბარდა სარჩელი. სასამართლოს მითითებით, წინამდებარე გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული 2012 წლის 30 ოქტომბერს და ის სააპელაციო წესით არ გასაჩივრებულა, ასევე დადასტურებულია ის გარემოება, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში გადაწყვეტილება მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებული არ არის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 27 თებერვლის განჩინებით რუსეთის ფედერაციის ხანტი-მანსიისკის ავტონომიურ ოლქ იუგრის საოლქო მნიშვნელობის ქალაქ სურგუტას №5 სასამართლო უზნის მომრიგებელი სასამართლოს შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ რუსეთის ფედერაციის ხანტი-მანსიისკის ავტონომიურ ოლქ იუგრის საოლქო მნიშვნელობის ქალაქ სურგუტას №5 სასამართლო უბნის მომრიგებელი სასამართლოს შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში რუსეთის ფედერაციის ხანტი-მანსიისკის ავტონომიურ ოლქ იუგრის საოლქო მნიშვნელობის ქალაქ სურგუტას №5 სასამართლო უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2012 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

რუსეთის ფედერაციის ხანტი-მანსიისკის ავტონომიურ ოლქ იუგრის საოლქო მნიშვნელობის ქალაქ სურგუტას №5 სასამართლო უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2012 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით ირკუტსკის ოლქის სასჯელაღსრულების ფედერალური სამსახურის მთავარი სამმართველოს №15 გამოსასწორებელი კოლონიის სარჩელი ბ.ჭ-ის მიმართ დაკმაყოფილდა, ბ.ჭ-ეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 57 რუბლისა და 75 კაპიკის გადახდა, ამავე გადაწყვეტილებით, მოპასუხე ბ.ჭ-ეს ქ.სურგუტის მუნიციპალური საქალაქო ოლქის ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 400 რუბლის გადახდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა რუსეთის ფედერაციის ხანტი-მანსიისკის ავტონომიურ ოლქ იუგრის საოლქო მნიშვნელობის ქალაქ სურგუტას №5 სასამართლო უბნის მომრიგებელმა სასამართლომ და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი სასამართლო ბეჭდით დამონებული გადაწყვეტილების თანახმად, მოპასუხე საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე სათანადოდ იყო ინფორმირებული, თუმცა სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულა და არც საქმის განხილვის გადადების შესახებ შუამდგომლობით მიუმართავს სასამართლოსათვის.

საქმეში წარმოდგენილი სასამართლოს ცნობით ირკვევა, რომ მოპასუხეს ჩაბარდა სარჩელი.

გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული 2012 წლის 30 ოქტომბერს და ის სააპელაციო წესით არ გასაჩივრებულა.

სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში გადანყვეტილება მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებული არ არის.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადანყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადანყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. რაც შეეხება მითითებული გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა. საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, რუსეთის ფედერაციის ხანტი-მანსიისკის ავტონომიურ ოლქ იუგრის საოლქო მნიშვნელობის ქალაქ სურგუტას №5 სასამართლო უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2012 წლის 28 სექტემბრის გადანყვეტილება ბ. ჭ-ის ქ.სურგუტის მუნიციპალური საქალაქო ოლქის ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის – 400 რუბლის დაკისრების ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

## დაადგინა:

1. რუსეთის ფედერაციის ხანტი-მანსისისკის ავტონომიურ ოლქ იუგრის საოლქო მნიშვნელობის ქალაქ სურგუტას №5 სასამართლო უბნის მომრიგებელი სასამართლოს შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში ამავე სასამართლოს 2012 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად რუსეთის ფედერაციის ხანტი-მანსისისკის ავტონომიურ ოლქ იუგრის საოლქო მნიშვნელობის ქალაქ სურგუტას №5 სასამართლო უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2012 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ბ. ჭ-ეს ქ.სურგუტის მუნიციპალური საქალაქო ოლქის ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 400 რუბლის გადახდა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

### განჩინება

№ა-817-შ-13-2013

25 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ყაზახეთის რესპუბლიკის აღმოსავლეთ-ყაზახური ოლქის უსტ-კამენეგორსკის სასამართლოს 2011 წლის 9 დეკემბრის გა-

დანყვეტილებით ნ. მ-ას სარჩელი გ. წ-ის მიმართ დაკმაყოფილ-  
და, ... წლის ... იანვარს დაბადებულ გ. წ-ს ... წლის ... აგვისტოს  
დაბადებული ნ.მ-ას სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის  
– ... წლის ... აპრილს დაბადებული ე. წ-ის რჩენა-აღზრდისათვის  
დაეკისრა აღმენტიც გადახდა, ყოველთვიურად, ყოველგვარი  
შემოსავლის 1/4 ნაწილის ოდენობით 2011 წლის 28 აპრილიდან  
შვილის სრულწლოვანებამდე. ამავე დადნყვეტილებით განი-  
საზღვრა სასამართლო ხარჯები და დადგინდა, რომ აღმენტიც  
დაკისრების ნაწილში დადნყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ  
აღსასრულებლად.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მო-  
მართა ნ. მ-ამ და მოითხოვა ზემოაღნიშნული დადნყვეტილე-  
ბის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქმეში წარმოდგენილი სასამართლოს ბეჭდით დამოწმებუ-  
ლი დადნყვეტილების თანახმად, მოპასუხე საქმის განხილვის  
თაობაზე ინფორმირებული იყო, კერძოდ, მან ცნო სარჩელი და  
მოითხოვა საქმის მისი დასწრების გარეშე განხილვა. თავად გა-  
დანყვეტილებითა და სასამართლოს მიერ გაცემული ცნობით  
დადასტურებულია, რომ ის კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის  
25 იანვარს, კანონიერ ძალაში შესვლიდან – 2012 წლის 25 იან-  
ვრიდან, დადნყვეტილება მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორია-  
ზე არ აღსრულებულა, ირკვევა, რომ მოპასუხეს საქართველოს  
ტერიტორიაზე გააჩნია საცხოვრებელი ადგილი, ხოლო დადნ-  
ყვეტილება გ. წ-ს ჩაბარდა 2011 წლის 13 დეკემბერს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2013 წლის 4 მარტის განჩინებით ნ. მ-ას შუამდგომ-  
ლობა მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის,  
რომ ნ. მ-ას შუამდგომლობა ყაზახეთის რესპუბლიკის აღმოსავ-  
ლეთ-ყაზახური ოლქის უსტ-კამენეგორსკის სასამართლოს 2011  
წლის 9 დეკემბრის დადნყვეტილების საქართველოს ტერიტო-  
რიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნ-  
და დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ყაზახეთის რესპუბლიკის აღმოსავლეთ-ყაზახური ოლქის  
უსტ-კამენეგორსკის სასამართლოს 2011 წლის 9 დეკემბრის გა-  
დანყვეტილებით ნ. მ-ას სარჩელი გ. წ-ის მიმართ დაკმაყოფილ-  
და, ... წლის ... იანვარს დაბადებულ გ. წ-ს ... წლის ... აგვისტოს  
დაბადებული ნ. მ-ას სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის



– ... წლის ... აპრილს დაბადებული ე. წ-ის რჩენა-აღზრდისათვის დაეკისრა ალიმენტის გადახდა, ყოველთვიურად, ყოველგვარი შემოსავლის 1/4 ნაწილის ოდენობით 2011 წლის 28 აპრილიდან შვილის სრულწლოვანებამდე. ამავე გადაწყვეტილებით განისაზღვრა სასამართლო ხარჯები და დადგინდა, რომ ალიმენტის დაკისრების ნაწილში გადაწყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ნ.მ-ამ და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქმეში წარმოდგენილი სასამართლოს ბეჭდით დამონმებული გადაწყვეტილების თანახმად, მოპასუხე საქმის განხილვის თაობაზე ინფორმირებული იყო, კერძოდ, მან ცნო სარჩელი და მოითხოვა საქმის მისი დასწრების გარეშე განხილვა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებითა და სასამართლოს მიერ გაცემული ცნობით დადასტურებულია, რომ ის კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 25 იანვარს, კანონიერ ძალაში შესვლიდან – 2012 წლის 25 იანვრიდან, გადაწყვეტილება მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

მოპასუხეს საქართველოს ტერიტორიაზე გააჩნია საცხოვრებელი ადგილი, ხოლო გადაწყვეტილება გ. წ-ს ჩაბარდა 2011 წლის 13 დეკემბერს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრუ-

ლება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა. საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, ყაზახეთის რესპუბლიკის აღმოსავლეთ-ყაზახური ოლქის უსტ-კამენეგორსკის სასამართლოს 2011 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება გ. წ-ის ალიმენტის დაკისრების თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ნ. მ-ას შუამდგომლობა ყაზახეთის რესპუბლიკის აღმოსავლეთ-ყაზახური ოლქის უსტ-კამენეგორსკის სასამართლოს 2011 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად ყაზახეთის რესპუბლიკის აღმოსავლეთ-ყაზახური ოლქის უსტ-კამენეგორსკის სასამართლოს 2011 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ... წლის ... იანვარს დაბადებულ გ. წ-ს ... წლის ... აგვისტოს დაბადებული ნ. მ-ას სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის – ... წლის ... აპრილს დაბადებული ე. წ-ის რჩენა-აღზრდისათვის დაეკისრა ალიმენტის გადახდა, ყოველთვიურად, ყოველგვარი შემოსავლის 1/4 ნაწილის ოდენობით 2011 წლის 28 აპრილიდან შვილის სრულწლოვანებამდე.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანჩინება

№ა-1073-შ-21-2013

15 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიჭვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** მამობის დადგენა, აღიშენების დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

სომხეთის რესპუბლიკის ლორის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2011 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით ე. ე-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: დადგინდა, რომ მ. ს. ძე ს-ი წარმოადგენს ... წლის ... ნოემბერს დაბადებული მ. ე-ის მამას. ამავე გადაწყვეტილებით მოპასუხე მ. ს. ძე ს-ს დაეკისრა აღიშენების გადახდა ე. ი. ასული ე-ის სასარგებლოდ ბავშვის – მ. ე-ის, დაბადებული ... წლის ... ნოემბერს, სარჩენად ყოველთვიურად 10000 დრამის ოდენობით. დადგინდა, რომ აღიშენების გადახდა დაიწყო სასამართლოში მიმართვის მომენტიდან – 2010 წლის 15 ივნისი, ბავშვის სრულწლოვანების მიღწევამდე.

ე. ი. ასულმა ე-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება დასახელებულ ნაწილებში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 28 მარტის განჩინებით ე. ი. ასული ე-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკაცაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ე. ი. ასული ე-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ სომხეთის რესპუბლიკის ლორის ოლქის

საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2011 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით ე. ე-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: დადგინდა, რომ მ. ს. ძე ს-ი წარმოადგენს... წლის ... ნოემბერს დაბადებული მ. ე-ის მამას. ამავე გადაწყვეტილებით მოპასუხე მ. ს. ძე ს-ს დაეკისრა ალიმენტის გადახდა ე. ი. ასული ე-ის სასარგებლოდ ბავშვის – მ. ე-ის, დაბადებული ... წლის ... ნოემბერს, სარჩენად ყოველთვიურად 10000 დრამის ოდენობით. დადგინდა, რომ ალიმენტის გადახდა დაიწყოს სასამართლოში მიმართვის მომენტიდან – 2010 წლის 15 ივნისი, ბავშვის სრულწლოვანების მიღწევამდე.

საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 23 აგვისტოს. ამასთან, იგი სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, სომხეთის რესპუბლიკის ლორის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2011 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

ამავდროულად, არსებობს დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის კანონით გათვალისწინებული საფუძველი, კერძოდ, შუამდგომლობა აკმაყოფილებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ უნდა იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად სომხეთის რესპუბლიკის ლორის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2011 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ე. ი. ასული ე-ის შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის ლორის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2011 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად სომხეთის რესპუბლიკის ლორის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2011 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ე. ე-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: დადგინდა, რომ მ. ს. ძე ს-ი წარმოადგენს ... წლის ... ნოემბერს დაბადებული მ. ე-ის მამას. ამავე გადაწყვეტილებით მოპასუხე მ. ს. ძე ს-ს დაეკისრა ალიმენტის გადახდა ე. ი. ასული ე-ის სასარგებლოდ ბავშვის – მ. ე-ის, დაბადებული ... წლის ... ნოემბერს, სარჩენად ყოველთვიურად 10000 დრამის ოდენობით. დადგინდა, რომ ალიმენტის გადახდა დაიწყოს სასამართლოში მიმართვის მომენტიდან – 2010 წლის 15 ივნისი, ბავშვის სრულწლოვანების მიღწევამდე;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანჩინება

№ა-4778-შ-98-2012

15 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** მშობლის უფლების ჩამორთმევა

### აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფერედაციის კარელიის რესპუბლიკის ქ.პეტროზა-ვოდსკის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 6 სექტემბრის და-უსწრებელი გადაწყვეტილებით ზ. ზ. ძე გ-ის სარჩელი დაკმა-ყოფილდა;

ი. ვ. ასულ კ-ას (დაბადებული ... წლის ... სექტემბერს, უკრაინაში, ხარკოვის ოლქში, ქ...), ჩამორთვა დედის უფლებები თავის შვილის – მ. ზ. ასული გ-ის (დაბადებული ... წლის ... ივნისს, დაბადების სააქტო ჩანაწერი №2132, 2007 წლის 20 ივნისი, გაცემული მოსკოვის მმარის სამმართველოს იზმაილოვის მმარის განყოფილების მიერ) მიმართ;

ი. ვ. ასულ კ-ას (დაბადებული ... წლის ... სექტემბერს, უკრაინაში, ხარკოვის ოლქში, ქ..., რეგისტრაციის ადგილი: უკრაინა, ხარკოვის ოლქი, ქ...), დაეკისრა ალიმენტის გადახდა მ. ზ. ასული გ-ის (დაბადებული ... წლის ... ივნისს) მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით, მამის – ზ. ზ. ძე გ-ის სასარგებლოდ, 2007 წლის 30 ივლისიდან, ყოველთვიურად, გამომუშავების (შემოსავლის) 1/4-ის ოდენობით, 2007 წლის 30 ივლისიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე.

რუსეთის ფერედაციის კარელიის რესპუბლიკის ქ.პეტროზა-ვოდსკის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 11 სექტემბრის განჩინებით გასწორდა ამავე სასამართლოს 2006 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობა, კერძოდ, დადგინდა, რომ ნაცვლად თარიღისა: 2006 წლის 6 სექტემბერი, მითითებულ იქნეს 2007 წლის 6 სექტემბერი.

ზ. ზ. ძე გ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილებისა (მოპასუხისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის ნაწილში) და განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსასრულებლად მიქცევა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 9 იანვრის განჩინებით ზ. გ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ზ. გ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ რუსეთის ფერედაციის კარელიის რესპუბლიკის ქ.პეტროზავოდსკის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 6 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ზ. ზ. ძე გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა;

ი. ვ. ასულ კ-ს (დაბადებული ... წლის ... სექტემბერს, უკრაინაში, ხარკოვის ოლქში, ქ...), ჩამოერთვა დედის უფლებები თავის შვილის – მ. ზ. ასული გ-ის (დაბადებული ... წლის ... ივნისს, დაბადების სააქტო ჩანაწერი №2132, 2007 წლის 20 ივნისი, გაცემული მოსკოვის მმარის სამმართველოს იზმაილოვის მმარის განყოფილების მიერ) მიმართ.

რუსეთის ფერედაციის კარელიის რესპუბლიკის ქ.პეტროზავოდსკის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 11 სექტემბრის განჩინებით გასწორდა ამავე სასამართლოს 2006 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობა, კერძოდ, დადგინდა, რომ ნაცვლად თარიღისა: 2006 წლის 6 სექტემბერი, მითითებულ იქნეს 2007 წლის 6 სექტემბერი.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, რუსეთის ფერედაციის კარელიის რესპუბლიკის

ქ.პეტროზავოდსკის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 6 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. ზ. ძეგ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ი. ვ. ასულ კ-ას (დაბადებული ... წლის ... სექტემბერს, უკრაინაში, ხარკოვის ოლქში, ქ...), ჩამოერთვა დედის უფლებები თავის შვილის – მ. ზ. ასული გ-ის (დაბადებული ... წლის ... ივნისს, დაბადების სააქტო ჩანაწერი №2132, 2007 წლის 20 ივნისი, გაცემული მოსკოვის მმჩის სამმართველოს იზმაილოვის მმჩის განყოფილების მიერ) მიმართ, ასევე, რუსეთის ფერედაციის კარელიის რესპუბლიკის ქ.პეტროზავოდსკის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 11 სექტემბრის განჩინება, რომლითაც გასწორდა რუსეთის ფერედაციის კარელიის რესპუბლიკის ქ.პეტროზავოდსკის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 6 სექტემბრის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობა, კერძოდ, დადგინდა, რომ ნაცვლად თარიღისა: 2006 წლის 6 სექტემბერი, მითითებულ იქნეს 2007 წლის 6 სექტემბერი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ზ. გ-ის შუამდგომლობა რუსეთის ფერედაციის კარელიის რესპუბლიკის ქ.პეტროზავოდსკის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 6 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამავე სასამართლოს 2007 წლის 11 სექტემბრის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად რუსეთის ფერედაციის კარელიის რესპუბლიკის ქ.პეტროზავოდსკის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 6 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. ზ. ძეგ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ი. ვ. ასულ კ-ას (დაბადებული ... წლის ... სექტემბერს, უკრაინაში, ხარკოვის ოლქში, ქ...), ჩა-



მოერთვა დედის უფლებები თავის შვილის – მ. ზ. ასული გ-ის (დაბადებული ... წლის ... ივნისს, დაბადების სააქტო ჩანაწერი №2132, 2007 წლის 20 ივნისი, გაცემული მოსკოვის მმარჩის სამმართველოს იზმაილოვის მმარჩის განყოფილების მიერ) მიმართ, აგრეთვე, რუსეთის ფერედაციის კარელიის რესპუბლიკის ქ.პეტროზავოდსკის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 11 სექტემბრის განჩინება, რომლითაც გასწორდა ამავე სასამართლოს 2006 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობა, კერძოდ, დადგინდა, რომ ნაცვლად თარიღისა: 2006 წლის 6 სექტემბერი, მითითებულ იქნეს 2007 წლის 6 სექტემბერი;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-805-შ-12-2013

15 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**

**მოსამართლე: პ. ქათამაძე**

**განხილვის საგანი:** გერმანიის ბერლინის შონებერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 6 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გერმანიის ბერლინის შონებერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით გაუქმდა მხარეებს: ი. შ-სა და ს. ბ-ს შორის, 2006 წლის 21 ივლისს ქალაქ ფიურტის მოქალაქეთა მდგომარეობის რეგისტრაციის სამსახურის მიერ რეგისტრირებული ქორწინება, სარეგისტრაციო ნომრით 269/2006.

ი. შ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტი-

ლების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 მარტის განჩინებით ი. შ-ს დაევალა აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში წარმოედგინა ცნობა იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის – გერმანიის კანონმდებლობის შესაბამისად, მოპასუხე ს. ბ-გი, გაფრთხილებული იყო მოცემული საქმის განხილვის დროის შესახებ. ამავ განჩინებით მხარეს განემარტა დადგენილი საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის შედეგი – შუამდგომლობის განუხილველად დატოვება.

საქმეში წარმოდგენილი სასამართლო მოხელის მიერ შედგენილი აქტით დასტურდება, რომ შუამდგომლობის ავტორ ი. შ-ს ხარვეზის შევსების შესახებ საკასაციო სასამართლოს განჩინების საფუძვლები და სარეზოლუციო ნაწილი ეცნობა საქმეში მითითებულ ტელეფონის ნომერზე (...), რაც ითვლება სასამართლო გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე, 73.1 მუხლებისა და 73.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60-61-ე მუხლების შესაბამისად, ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო მოქმედების შესრულების 10-დღიანი ვადის ათვლა მოცემულ შემთხვევაში დაიწყო 2013 წლის 20 მარტს და დასრულდა 2013 წლის 29 მარტს. აღნიშნულ ვადაში შუამდგომლობის ავტორს ხარვეზი არ შეუვსია და არც რაიმე შუამდგომლობით მოუმართავს სასამართლოსათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ არის შეტანილი, დარჩება განუხილველი. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ მხარე ვალდებულია სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შეასრულოს ის საპროცესო მოქმედება, რაც მას სასამართლომ დაავალა, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კარგავს ამ საპროცესო მოქმედების შესრულების უფლებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის საფუძველზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემომითითებულ ნორმათა დანაწესი უნდა გავრცელდეს ასევე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის მიმართაც.

რამდენადაც ი. შ-ს უზენაესი სასამართლოს განჩინებით დადგენილი ხარვეზი არ შეუვსია – არ წარმოუდგენია ცნობა იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის – გერმანიის კანონმდებლობის შესაბამისად, მოპასუხე ს. ბ-ი გაფრთხილებული იყო მოცემული საქმის განხილვის დროის თაობაზე, შუამდგომლობა გერმანიის ბერლინის შონებერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 6 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე, 284-ე მუხლებით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე, 68-ე მუხლებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ი. შ-ის შუამდგომლობა გერმანიის ბერლინის შონებერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 6 მარტის გადაწყვეტილების (რომლითაც გაუქმდა მხარეებს: ი. შ-სა და ს. ბ-ს შორის, 2006 წლის 21 ივლისს ქალაქ ფიურტის მოქალაქეთა მდგომარეობის რეგისტრაციის სამსახურის მიერ რეგისტრირებული ქორწინება, სარეგისტრაციო ნომრით 269/2006) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დატოვებულ იქნეს განუხილველად.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## განჩინება

№ა-264-შ-2-2013

15 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2012 წლის 27 სექტემბრის განჩინებით ა. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გ. ს-ს ა. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ... წლის ... აგვისტოს დაბადებული ე. ს-ის სარჩენად დაეკისრა ყოველთვიური ალიმენტის – 20000 დრამის გადახდა მოსარჩელის სასამართლოსათვის მიმართვის მომენტიდან – 2012 წლის 30 მაისიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. აგრეთვე, გ. ს-ს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 4800 დრამის გადახდა სომხეთის რესპუბლიკის სასარგებლოდ. აღნიშნული განჩინება არ გასაჩივრებულა და კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 30 ოქტომბერს და ყაზახეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს მოსამართლე არმან კურეხიანმა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2012 წლის 27 სექტემბრის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 4 თებერვლის განჩინებით სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს მოსამართლე არმან კურეხიანის შუამდგომლობა ამავე სასამართლოს 2012 წლის 27 სექტემბრის განჩინების საქართვე-

ლოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის დაკისრების ნაწილში მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს მოსამართლე არმან კურეხიანის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2012 წლის 27 სექტემბრის განჩინებით ა. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გ. ს-ს ა. ხ-ს სასარგებლოდ დაეკისრა ... წლის ... აგვისტოს დაბადებული ე. ს-ის სარჩენად დაეკისრა ყოველთვიური ალიმენტის – 20000 დრამის გადახდა მოსარჩელის სასამართლოსათვის მიმართვის მომენტიდან – 2012 წლის 30 მაისიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. აგრეთვე, გ. ს-ს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 4800 დრამის გადახდა სომხეთის რესპუბლიკის სასარგებლოდ. აღნიშნული განჩინება არ გასაჩივრებულა და კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 30 ოქტომბერს და ყაზახეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს მოსამართლე არმან კურეხიანმა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2012 წლის 27 სექტემბრის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2012 წლის 27 სექტემბრის განჩინება სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამარ-

თლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს მოსამართლე არმან კურეხიანის შუამდგომლობა ამავე სასამართლოს 2012 წლის 27 სექტემბრის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2012 წლის 27 სექტემბრის განჩინება, რომლითაც გ. ს-ს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 4800 დრამის გადახდა სომხეთის რესპუბლიკის სასარგებლოდ.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## განჩინება

№ა-664-შ-8-2013

13 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** შვილად აყვანა

### აღწერილობითი ნაწილი:

ქ.კიპარისსიას პირველი ინსტანციის მრავალწევრიანი სასამართლოს 2012 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით განცხადება დაკმაყოფილდა. ა. პ-მა შვილად სცნო ი. წ-ე, რომელიც დაიბადა ქ.ქუთაისში ... წლის ...აპრილს. აღნიშნული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 30 ივლისს.

ი. წ-ის წარმომადგენელ ლ. ლ-ამ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ქ.კიპარისსიას პირველი ინსტანციის მრავალწევრიანი სასამართლოს 2012 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2013 წლის 1 მარტის განჩინებით ი. წ-ის წარმომადგენელ ლ. ლ-ას შუამდგომლობა საბერძნეთის ქ.კიპარისსიას პირველი ინსტანციის მრავალწევრიანი სასამართლოს 2012 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ი. წ-ის წარმომადგენელ ლ. ლ-ას შუამდგომლობა საბერძნეთის ქ.კიპარისსიას პირველი ინსტანციის მრავალწევრიანი სასამართლოს 2012 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო

აღსრულების შესახებ უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ქ.კიპარისსიას პირველი ინსტანციის მრავალწევრიანი სასამართლოს 2012 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით განცხადება დაკმაყოფილდა. ა. პ-მა შვილად სცნო ი. ნ-ე, რომელიც დაიბადა ქ.ქუთაისში ... წლის ... აპრილს. აღნიშნული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 30 ივლისს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამატკობელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, საბერძნეთის ქ.კიპარისსიას პირველი ინსტანციის მრავალწევრიანი სასამართლოს 2012 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების ცალკეული საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დასახელებული ნორმის თანახმად, საკასაციო სასამართლო უცხო ქვეყნის შუამდგომლობის ცნობასთან დაკავშირებული გარემოებების სამართლებრივი შეფასებისა თუ საპროცესო მოქმედების შესრულებისას ხელმძღვანელობს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის განჩინება ჩაბარდება მოსარჩელეს, რომელსაც იმავდროულად უბრუნდება მის მიერ შეტანილი დოკუმენტები. თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ



კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები). დასახელებული ნორმის თანახმად, სასამართლო სარჩელს (კერძო საჩივარს) დატოვებს განუხილველად ან შეწყვეტს საქმის წარმოებას იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვისას გაირკვა, რომ არ არსებობს მისი წარმოებაში მიღების ესა თუ ის პირობა, ამასთან მითითებული ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი – საქმის წარმოების შეწყვეტა ან საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვება გამომდინარეობს საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძვლიდან.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, შუამდგომლობას აღსრულებისათვის თან უნდა დაერთოს სასამართლო გადაწყვეტილების დამონმებული ასლი და დამონმებული ქართული თარგმანი, აგრეთვე ცნობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ. დასახელებული ნორმა ადგენს, რომ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულებისათვის უნდა ერთვოდეს გადაწყვეტილების მიმღები კომპეტენტური სასამართლოს მიერ გაცემული ცნობა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის თაობაზე, ასევე მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ, რომლითაც დადასტურდება ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილების მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღნიშნული გადაწყვეტილება არ აღსრულებულა იმ ნაწილში, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებასაც მხარე მოითხოვს და მისი აღსრულება სწორედ საქართველოს ტერიტორიაზეა სავალდებულო.

განსახილველ შემთხვევაში შუამდგომლობას არ ერთვის ცნობა იმის თაობაზე, რომ საბერძნეთის ქ.კიპარისსიას პირველი ინსტანციის მრავალწევრიანი სასამართლოს 2012 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება არ არის აღსრულებული საბერძნეთის ტერიტორიაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ი. წ-ის წარმომადგენელ ლ. ლ-ას შუამდგომლობა საბერძნეთის ქ.კიპარისსიას პირველი ინსტანციის მრავალწევრიანი სასამართლოს 2012 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების შესახებ უნდა დარჩეს განუხილველად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამარ-

თლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. ი. წ-ის წარმომადგენელ ლ. ლ-ას შუამდგომლობა საბერძნეთის ქ.კიპარისსიას პირველი ინსტანციის მრავალწევრიანი სასამართლოს 2012 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას ქ.კიპარისსიას პირველი ინსტანციის მრავალწევრიანი სასამართლოს 2012 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც ქ.კიპარისსიას პირველი ინსტანციის მრავალწევრიანი სასამართლოს 2012 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით განცხადება დაკმაყოფილდა. ა. პ-მა შვილად სცნო ი. წ-ე, რომელიც დაიბადა ქ.ქუთაისში ... წლის ... აპრილს.

3. ი. წ-ის წარმომადგენელ ლ. ლ-ას შუამდგომლობა საბერძნეთის ქ.კიპარისსიას პირველი ინსტანციის მრავალწევრიანი სასამართლოს 2012 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების შესახებ დარჩეს განუხილველად.

4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების  
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

**განჩინება**

№ა-1121-შ-23-2013

14 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიჭვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** განქორწინება

**აღწერილობითი ნაწილი:**

გერმანიის ქ. ბად ურახის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით გაუქმდა ქ.თბილისში 2010 წლის 6 ივნისს ე. ძ-სა (შ-სა) და დ. შ-ს შორის ქ.თბილისის ქორწინების სახლში რეგისტრირებული ქორწინება, სარეგისტრაციო ნომერი №80201031252. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 5 ივნისს.

ე. შ-ის წარმომადგენელმა მ. პ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის ქ. ბად ურახის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

2013 წლის 11 აპრილს ე. შ-ის წარმომადგენელმა მ. პ-მა დააზუსტა მოთხოვნა და მოითხოვა გერმანიის ქ. ბად ურახის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 აპრილის განჩინებით ე. შ-ის წარმომადგენელ მ. პ-ის შუამდგომლობა გერმანიის ქ.ბად ურახის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკაცაიო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ

ე. შ-ის წარმომადგენელ მ. პ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის ქ.ბად ურახის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით გაუქმდა ქ.თბილისში 2010 წლის 6 ივნისის ე. ძ-სა (შ-სა) და დ. შ-ს შორის ქ.თბილისის ქორწინების სახლში რეგისტრირებული ქორწინება, სარეგისტრაციო ნომერი №80201031252. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 5 ივნისს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, გერმანიის ქ.ბად ურახის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ე. შ-ის წარმომადგენელ მ. პ-ის შუამდგომლობა გერმანიის ქ.ბად ურახის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის ქ.ბად ურახის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა ქ.თბილისში 2010 წლის 6 ივნისის ე. ძ-სა (შ-სა) და დ. შ-ს შორის ქ.თბილისის ქორწინების სახლში რეგისტრირებული ქორწინება.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების  
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

**განჩინება**

№ა-1220-შ-26-2013

14 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**

**მოსამართლე: თ. თოდრია**

**დავის საგანი: განქორწინება**

**აღწერილობითი ნაწილი:**

გერმანიის ლემგოს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 12 მაისის განაჩენით (გადაწყვეტილებით) გაუქმდა 2006 წლის 1 ივლისს ქ.ქუთაისის მმაჩის ბიუროში ლ. ს-სა და ო. ვ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება (რეგისტრაციის ნომერი 0072042).

ლ. ს-ემ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის ლემგოს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 12 მაისის განაჩენის (გადაწყვეტილების) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 აპრილის განჩინებით შუამდგომლობის ავტორს დაევალა მოცემული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში ცნობის წარმოდგენა იმის თაობაზე, გერმანიის ლემგოს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 12 მაისის განაჩენი (გადაწყვეტილება) არ არის აღსრულებული გერმანიის ტერიტორიაზე და მოთხოვნის დააზუსტება, კერძოდ, გერმანიის ლემგოს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 12 მაისის განაჩენის (გადაწყვეტილების) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობას ითხოვს, თუ აღსრულებას.

აღნიშნული განჩინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ლ. ს-ეს ჩაბარდა 2013 წლის 2 მაისს, მაგრამ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში შუამდგომლობის ავტორს ხარვეზი არ გამოუხსნორებია.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შე-

დეგად თვლის, რომ ლ. ს-ის შუამდგომლობა გერმანიის ლემგოს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 12 მაისის განაჩენის (გადაწყვეტილების) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების ცალკეული საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დასახელებული ნორმის თანახმად, საკასაციო სასამართლო უცხო ქვეყნის შუამდგომლობის ცნობასთან დაკავშირებული გარემოებების სამართლებრივი შეფასებისა თუ საპროცესო მოქმედების შესრულებისას ხელმძღვანელობს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 აპრილის განჩინებით შუამდგომლობის ავტორს დაევალა მოცემული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში ცნობის წარმოდგენა იმის თაობაზე, გერმანიის ლემგოს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 12 მაისის განაჩენი (გადაწყვეტილება) არ არის აღსრულებული გერმანიის ტერიტორიაზე და მოთხოვნის დააზუსტება, კერძოდ, გერმანიის ლემგოს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 12 მაისის განაჩენის (გადაწყვეტილების) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობას ითხოვს, თუ აღსრულებას.

აღნიშნული განჩინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მ. ქ-ეს ჩაბარდა 2013 წლის 2 მაისს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი 5-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2013 წლის 3 მაისს და ამოიწურა ამავე წლის 7 მაისს. მხარეს აღნიშნული ვადის განმავლობაში ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე შუამდგომლობით მიუმართავს სასამართლოსათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. კანონის დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ

მხარე სწორედ კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაშია ვალდებული, განახორციელოს მისთვის დაკისრებული საპროცესო მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ მან დაკარგა ინტერესი დავის მიმართ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ლ. ს-ის შუამდგომლობა გერმანიის ლემგოს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 12 მაისის განაჩენის (გადაწყვეტილების) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დარჩეს განუხილველად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ლ. ს-ის შუამდგომლობა გერმანიის ლემგოს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 12 მაისის განაჩენის (გადაწყვეტილების) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დარჩეს განუხილველად.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## განჩინება

№ა-1032-შ-18-2013

27 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** განქორწინება

### აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის მიუნხენის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა მე-5 განყოფილების 2010 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შეწყვეტილად ჩაითვალა 2005 წლის 16 სექტემბერს დანიაში, ქრისტიანფელდის მმარის ბიუროში რეგისტრირებული ქორწინება მხარეებს: ნ. დ-სა და დ. მ.ა-ოს შორის (ქორწინების რეგისტრაციის №3514/2005).

ნ. დ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა ზემომითითებულ ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 აპრილის განჩინებით ნ. დ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ნ. დ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის მიუნხენის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა მე-5 განყოფილების 2010 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შეწყვეტილად ჩაითვალა 2005 წლის 16 სექტემბერს დანიაში, ქრისტიანფელდის მმარის ბიუროში რეგისტრირებული ქორწინება მხარეებს: ნ. დ-სა და დ. მ. ა-ოს შორის (ქორწინების რეგისტრაციის №3514/2005).



„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, გერმანიის მიუნხენის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა მე-5 განყოფილების 2010 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც შეწყვეტილად ჩაითვალა 2005 წლის 16 სექტემბერს დანიაში, ქრისტიანფელდის მმარის ბიუროში რეგისტრირებული ქორწინება მხარეებს: ნ. დ-სა და დ. მ. ა-ოს შორის (ქორწინების რეგისტრაციის №3514/2005), საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ნ. დ-ის შუამდგომლობა გერმანიის მიუნხენის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა მე-5 განყოფილების 2010 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის მიუნხენის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა მე-5 განყოფილების 2010 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც შეწყვეტილად ჩაითვალა 2005 წლის 16 სექტემბერს დანიაში, ქრისტიანფელდის მმარის ბიუროში რეგისტრირებული ქორწინება მხარეებს: ნ. დ-სა და დ. მ. ა-ოს შორის (ქორწინების რეგისტრაციის №3514/2005);

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანჩინება

№ა-952-შ-14-2013

28 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** განქორწინება

### აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის რადენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2002 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით (განაჩენით) 1996 წლის 17 მაისს ესპელკამის მმაჩის ბიუროში თ. კ-სა (ო-ი) და მ. ო-ს შორის რეგისტრირებული №40/1996 ქორწინება გაუქმდა. აღნიშნულის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2002 წლის 8 მარტს და შუამდგომლობის ავტორის განამრტებით, კანონის თანახმად, აღსრულებულია გერმანიაში.

თ. ო-ის (კ-ის) წარმომადგენელმა ნ. გ-ემ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის რადენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2002 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილების (განაჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2013 წლის 22 მარტის განჩინებით თ. ო-ის წარმომადგენელ ნ. გ-ის შუამდგომლობა გერმანიის რადენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2002 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილების (განაჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ თ. ო-ის წარმომადგენელ ნ. გ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის რადენის პირველი ინსტანცი-

ის სასამართლოს 2002 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით (განაჩენით) 1996 წლის 17 მაისს ესპელკამის მმართველის ბიუროში თ. კ-სა (ო-ი) და მ. ო-ს შორის რეგისტრირებული №40/1996 ქორწინება გაუქმდა. აღნიშნულის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2002 წლის 8 მარტს და შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, კანონის თანახმად, აღსრულებულია გერმანიაში.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამატკობელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, გერმანიის რადენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2002 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება (განაჩენი) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. თ. ო-ის წარმომადგენელ ნ. გ-ის შუამდგომლობა გერმანიის რადენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2002 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილების (განაჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის რადენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2002 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება (განაჩენი), რომლითაც 1996 წლის 17 მაისს ესპელკამის მმართველის ბიუროში თ. კ-სა (ო-ი) და მ. ო-ს შორის რეგისტრირებული №40/1996 ქორწინება გაუქმდა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## განჩინება

№ა-1008-შ-17-2013

28 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** განქორწინება

### აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით 2009 წლის 27 იანვარს, მიუნხენის მმაჩის ბიუროში თ. რ-სა და მ. რ-ს შორის რეგისტრირებული №98/2009 ქორწინება გაუქმდა. აღნიშნულის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 7 მარტს და შუამდგომლობის ავტორის განამრტებით, კანონის თანახმად, აღსრულებულია გერმანიაში.

თ. რ-ის წარმომადგენელმა თ. ს-ემ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2013 წლის 25 მარტის განჩინებით თ. რ-ის წარმომადგენელ თ. ს-ის შუამდგომლობა გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ თ. რ-ის წარმომადგენელ თ. ს-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტან-

ციის სასამართლოს 2012 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით 2009 წლის 27 იანვარს, მიუნხენის მმაჩის ბიუროში თ. რ.-სა და მ. რ.-ს შორის რეგისტრირებული №98/2009 ქორწინება გაუქმდა. აღნიშნულის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 7 მარტს და შუამდგომლობის ავტორის განამრტებით, კანონის თანახმად, აღსრულებულია გერმანიაში.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. თ. რ.-ის წარმომადგენელ თ. ს.-ის შუამდგომლობა გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის რადენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2002 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება (განაჩანი), რომლითაც 2009 წლის 27 იანვარს, მიუნხენის მმაჩის ბიუროში თ. რ.-სა და მ. რ.-ს შორის რეგისტრირებული №98/2009 ქორწინება გაუქმდა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების  
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

**ბანრინება**

№ა-4198-შ-84-2012

3 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე**

**დავის საგანი:** სამკვიდრო ქონებაზე საკუთრების უფლებების აღირება

**აღწერილობითი ნაწილი:**

რუსეთის ფედერაციის ლენინგრადის ოლქის ვიბორგსკის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნა ნ. წ-ას, კ. ა. ძე ბ-ის, გ. ვ. ძე ჩ-ის დ. ვ. ძე ჩ-ა და დ. ვ. ასულ ჩ-ის საერთო წილობრივი საკუთრების უფლება ლენინგრადის ოლქის ვიბორგის რაიონის, ადგილობრივი განყოფილება „როშჩინის საქალაქო დასახლების“, ქალაქის ტიპის დასახლება როშჩინოდ, შ-ის ქუჩის №30-ში (საინვენტარო №509) მდებარე ორსართულიან საცხოვრებელ სახლზე (ლიტერ ა) საერთო ფართობით 384,4 კვ.მ. ტერასით (ა), დახურული პარმალით (ა1) და ფანჩატურით (გ) შემდეგი წილებით თითოეულს: ნ. წ-ას საკუთრების უფლება – 76/200-ზე, კ. ბ-ი – 31/200-ზე, გ. ჩ-ის – 31/200-ზე; დ. ჩ-ის – 31/200-ზე, დ. ჩ-ი – 31/200-ზე;

აღიარებულ იქნა ნ. წ-ას, კ. ა. ძე ბ-ის, გ. ჩ-ის, დ. ჩ-ა და დ. ჩ-ის საერთო წილობრივი საკუთრების უფლება თითოეულზე 1/5 1200 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ლენინგრადის ოლქი, ვიბორგის რაიონი, ა. დასახლება როშჩინო, შ-ის ქუჩა, სახლი №30. საკადასტრო ნომერი ...;

აღიარებულ იქნა ნ. წ-ას, კ. ბ-ის, გ. ჩ-ის, დ. ჩ-ა და დ. ჩ-ის საერთო წილობრივი საკუთრების უფლება ოთხთახიან ბინაზე საერთო ფართობით 131,3 კვ.მ, მათ შორის საცხოვრებელი ფართი 81,8 კვ.მ. მდებარე ქ.სანკტპეტერბურგში, მ-ის პროსპექტის №16-ის 1 კორპუსში, მე-11 სართულზე მდებარე ბინა №264, შემდეგი წილებით თითოეულს: ნ. წ-ას – 6/10; კ. ბ-ს – 1/10; გ. ჩ-ის –

1/10; დ. ჩ-ს – 1/10; დ. ჩ-ს – 1/10;

აღიარებულ იქნა ნ. წ-ას, კ. ბ-ის, გ. ჩ-ის, დ. ჩ-ა და დ. ჩ-ის საკუთრების უფლება შპს “...“სანქსდებო კაპიტალში წილზე შემდეგი რაოდენობით: ნ. წ-ას – 6/10; კ. ბ-ს – 1/10; გ. ჩ-ს – 1/10; დ. ჩ-ს – 1/10; დ. ჩ-ს – 1/10;

აღიარებულ იქნა ნ. წ-ას, კი. ბ-ის, გ. ჩ-ის, დ. ჩ-ა და დ.ჩ-ის საერთო წილობრივი საკუთრების უფლება ავტომობილზე TOYOTA LAND CRUIZER 120, ... წლის გამოშვება, საიდენტიფიკაციო ნომერი ..., აღრიცხვაზეა სანკტ-პეტერბურგის შსმს, რ-ის მოედანი, უსმის რაგფ-ში, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი ..., შემდეგი წილებით თითოეულს: ნ. წ-ას – 111/125; კ.ბ-ს – 7/250; გ. ჩ-ს – 7/250; დ. ჩ-ს – 7/250; დ. ჩ-ს – 7/250;

აღიარებულ იქნა ნ. წ-ას, კ. ბ-ის, გ. ჩ-ის, დ. ჩ-ა და დ. ჩ-ის საერთო წილობრივი საკუთრების უფლება ავტომობილზე NISSAN PRIMERA 20 ELEGANCE, ... წლის გამოშვება, საიდენტიფიკაციო ნომერი ..., აღრიცხვაზეა სანკტ-პეტერბურგის შსმს, გამმა ავტო რაგდ-6-ში, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი ..., შემდეგი წილებით თითოეულს: ნ. წ-ას – 72/100; კ. ბ-ს – 7/100; გ. ჩ-ს – 7/100; დ. ჩ-ს – 7/100; დ. ჩ-ს 7/100;

აღიარებულ იქნა ნ. წ-ას, კ. ბ-ის, გ. ჩ-ის, დ. ჩ-ა და დ.ჩ-ის საერთო წილობრივი საკუთრების უფლება შენობა-ნაგებობაზე №1 საერთო ფართობით 61 კვ.მ. კუთვნილი მიწის ნაკვეთთან ერთად ფართობით 270 კვ.მ. მდებარე მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, სექტორი მ-ა, კვარტალი 6, ნაკვეთი №1/10, ფუნიკულიორის ზემო პლატო, ავტოსადგომის მიმდებარე ტერიტორია, შემდეგი წილებით თითოეულს: ნ. წ-ას – 6/10; კ. ბ-ს – 1/10; გ. ჩ-ს – 1/10; დ. ჩ-ს – 1/10; დ. ჩ-ს – 1/10.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 15 ივნისს.

ნ. წ-ას წარმომადგენელმა ვ. დ-ამ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს რუსეთის ფედერაციის ვორონეჟის ოლქის ბოგუჩარსკის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ქ.თბილისში, ფ-ის ზემო პლატოს, ავტოსადგომის მიმდებარე ტერიტორიაზე 270კვ.მ მიწის ნაკვეთზე და 61კვ.მ შენობა-ნაგებობა №1-ზე ნ. წ-სა და გ. ჩ-ის მესაკუთრედ ცნობის ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 დეკემბრის განჩინებით ნ. წ-ას წარმომადგენელ ვ. დ-ას შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ლე-

ნინგრადის ოლქის ვიბორგსკის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ქ.თბილისში, ფ-ის ზემო პლატოს, ავტოსადგომის მიმდებარე ტერიტორიაზე 270კვ.მ მიწის ნაკვეთზე და 61კვ.მ შენობა-ნაგებობა №1-ზე ნ. წ-ასა და გ. ჩ-ის მესაკუთრედ ცნობის ნაწილში მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ნ. წ-ას წარმომადგენელ ვ. დ-ას შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების ცალკეული საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამდენად, დასახელებული ნორმების თანახმად, საკასაციო სასამართლო უცხო ქვეყნის შუამდგომლობაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით.

საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ უკრაინის სავაჭრო-სამენარმოეო პალატის საერთაშორისო კომერციული სარბიტრაჟო სასამართლოს 2005 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნა ნ. წ-ას, კ. ბ-ის, გ. ჩ-ის, დ. ჩ-ა და დ. ჩ-ის საერთო წილობრივი საკუთრების უფლება შენობა-ნაგებობაზე №1 საერთო ფართით 61 კვ.მ. კუთვნილი მიწის ნაკვეთთან ერთად ფართობით 270 კვ.მ. მდებარე მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, სექტორი მ-ა, კვარტალი 6, ნაკვეთი №1/10, ფ-ის ზემო პლატო, ავტოსადგომის მიმდებარე ტერიტორია, შემდეგი წილებით თითოეულს: ნ.წ-ას – 6/10; კ. ბ-ს – 1/10; გ. ჩ-ს – 1/10; დ. ჩ-ს – 1/10; დ. ჩ-ს – 1/10.

ნ. წ-ას წარმომადგენელმა ვ. დ-ამ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს რუსეთის ფედერაციის ვორონეჟის ოლქის ბოგუჩარსკის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ქ.თბილისში, ფ-ის ზემო პლატოს, ავტოსადგომის მიმდებარე ტერიტორიაზე 270კვ.მ მიწის ნაკვეთზე და 61კვ.მ შენობა-ნაგებობა №1-ზე ნ. წ-სა და გ. ჩ-ის მესაკუთრედ ცნობის ნაწილში.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს



კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება.

ამავე კანონის მე-10 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სასამართლოებს განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ მხოლოდ იმ სარჩელებზე, რომლებიც ეხება უძრავ ქონებას, თუ ეს ქონება საქართველოშია.

განსახილველ შემთხვევაში შუამდგომლობის ავტორი ითხოვს საქართველოში ქ.თბილისში, ფ-ის ზემო პლატოს, ავტოსადგომის მიმდებარე ტერიტორიაზე 270კვ.მ მიწის ნაკვეთზე და 61 კვ.მ შენობა-ნაგებობა №1-ზე ნ. წ-სა და გ. ჩ-ის მესაკუთრედ ცნობას და აღსრულებას.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნივთზე უფლების წარმოშობა, შეცვლა, გადაცემა და შეწყვეტა წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ეს ნივთი იმყოფება. ამ ქვეყნის სანივთო-სამართლებრივი ნორმები გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როცა ამ კანონის მითითებითი (კოლიზიური) ნორმის მიხედვით სხვა ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული

ამავე კანონის 64-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე სასამართლო შუამდგომლობის ავტორს სამართლებრივი დახმარების განწევზე ეტყვის უარს, თუ მისი დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. წ-ას წარმომადგენელ ვ. დ-ას შუამდგომლობა მიმართულია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ქონების მიმართ, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ნ. წ-ას წარმომადგენელ ვ. დ-ას შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ლენინგრადის ოლქის ვიბორგსკის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილების საქართვე-

ლოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ქ.თბილისში, ფ-ის ზემო პლატოს, ავტოსადგომის მიმდებარე ტერიტორიაზე 270კვ.მ მიწის ნაკვეთზე და 61კვ.მ შენობა-ნაგებობა №1-ზე ნ. წ-სა და გ. ჩ-ის მესაკუთრედ ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდეს.

2. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-958-შ-15-2013

3 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე**

**დავის საგანი:** განქორწინება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

რუსეთის ფედერაციის სანქტ-პეტერბურგის ვიბორსკკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №2-1314/2012) ბათილად იქნა ცნობილი ქორწინება ს. ე-ს, დაბადებულს ... წლის ... აპრილს, საქართველოს მოქალაქეს და ი. ი. ასულ ტ-ოს, დაბადებულს ... წლის ... ივლისს, ქ.ლენინგრადში, შორის, რომელიც რეგისტრირებული იყო სანქტ-პეტერბურგის №1 ქორწინების სახლში, სააქტო ჩანაწერის №377.

ვ. ე-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება დასახელებულ ნაწილში.

მოგვიანებით, ხარვეზის შევსების მიზნით წარმოდგენილ განცხადებაში, შუამდგომლობის ავტორმა მოთხოვნა დააზუს-

ტა, კერძოდ, მან მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა, ნაცვლად ცნობისა და აღსრულებისა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ვ. ე-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ რუსეთის ფედერაციის სანქტ-პეტერბურგის ვიბორსკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №2-1314/2012) ბათილად იქნა ცნობილი ქორწინება ს. ე-ს, დაბადებულს ... წლის ... აპრილს, საქართველოს მოქალაქეს და ი. ი. ასულ ტ-ოს, დაბადებულს ... წლის ... ივლისს, ქ.ლენინგრადში, შორის, რომელიც რეგისტრირებული იყო სანქტ-პეტერბურგის №1 ქორწინების სახლში, სააქტო ჩანაწერის №377.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, რუსეთის ფედერაციის სანქტ-პეტერბურგის ვიბორსკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმე №2-1314/2012) იმ ნაწილში, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ქორწინება ს. ე-ს, დაბადებულს ... წლის ... აპრილს, საქართველოს მოქალაქეს და ი. ი. ასულ ტ-ოს, დაბადებულს ... წლის ... ივლისს, ქ.ლენინგრადში, შორის, რომელიც რეგისტრირებული იყო სანქტ-პეტერბურგის №1 ქორწინების სახლში, სააქტო ჩანაწერის №377.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

## დაადგინა:

1. ვ. ე-ის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის სანქტ-პეტერბურგის ვიბორსკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილების (საქმე №2-1314/2012) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას რუსეთის ფედერაციის სანქტ-პეტერბურგის ვიბორსკის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმე №2-1314/2012) იმ ნაწილში, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ქორწინება ს.ე-ს, დაბადებულს ... წლის ... აპრილს, საქართველოს მოქალაქეს და ი. ი. ასულ ტ-ოს, დაბადებულს ... წლის ... ივლისს, ქ.ლენინგრადში, შორის, რომელიც რეგისტრირებული იყო სანქტ-პეტერბურგის №1 ქორწინების სახლში, სააქტო ჩანაწერის №377.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

### განჩინება

№ა-1520-შ-32-2013

12 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: განქორწინება

### აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ვაილჰაიმის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით 2010 წლის 27 აპრილს პ. დ-სა და ა. შ-ოს შორის ვილჰელმჰაიმის მმარის ბიუროში რეგისტრირებული ქორწინება (საქორწინო აქტების რე-

ესტრი №16/2010) შეწყდა. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალში შევიდა 2012 წლის 27 ნოემბერს.

პ. დ-ის წარმომადგენელმა ე. ა-ემ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის ვაილჰაიმის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2013 წლის 17 მაისის განჩინებით პ. დ-ის წარმომადგენელ ე. ა-ის შუამდგომლობა გერმანიის ვაილჰაიმის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა გაცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ პ. დ-ის წარმომადგენელ ე. ა-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის ვაილჰაიმის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით 2010 წლის 27 აპრილს პ. დ-სა და ა. შ-ოს შორის ვილჰელმჰაიმის მმარის ბიუროში რეგისტრირებული ქორწინება (საქორწინო აქტების რეესტრი №16/2010) შეწყდა. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალში შევიდა 2012 წლის 27 ნოემბერს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, გერმანიის ვაილჰაიმის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამარ-

თლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. პ. დ-ის წარმომადგენელ ე. ა-ის შუამდგომლობა გერმანიის ვაილჰაიმის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის ვაილჰაიმის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც 2010 წლის 27 აპრილს პ. დ-სა და ა. შ-ოს შორის ვილჰელმჰაიმის მმარის ბიუროში რეგისტრირებული ქორწინება (საქორწინო აქტების რეესტრი № 16/2010) შეწყდა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ვ-799-შ-97-2012

25 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

ომსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2012 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით შპს „კ-ს“ შპს „ლ. და ა. ქ. ო-ას“ (შპს „ო-ა“) სასარგებლოდ 1 704 990 რუსული რუბლის გადახდა დაეკისრა, საიდანაც 1 495 975 რუბლი არის ძირი თანხა, 209 014

რუბლი – ჯარიმა, 30 572,72 რუბლი – სახელმწიფო ბაჟი.

2012 წლის 30 ივლისს შპს „ო-ამ“ ომსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების შესახებ შუამდგომლობით მიმართა.

2012 წლის 13 დეკემბერს საქართველოს უზენაეს სასამართლოს „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის 53-ე მუხლის საფუძველზე ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადებით მომართა ომსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლე ყ. შ. შ. ამ.

განცხადებაზე თანდართული მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 11 ივნისს და მხარეები ინფორმირებულნი იყვნენ საქმის განხილვის თაობაზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ მინსკის კონვენციის 53-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, შუამდგომლობა გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვის თაობაზე წარედგინება ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ სასამართლოს, სადაც გადაწყვეტილება აღსრულებას ექვემდებარება. იგი ასევე შეიძლება წარედგინოს სასამართლოში, სადაც გამოტანილ იქნა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. ეს სასამართლო შუამდგომლობას გადასცემს სასამართლოს, რომელიც კომპეტენტურია გამოიტანოს გადაწყვეტილება ამ შუამდგომლობაზე.

იმავე კონვენციის 55-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, იძულებითი აღსრულების ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუკი არ არსებობს დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მხარეთა შეთანხმებას სახელშეკრულებო განსჯადობის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილია შუამდგომლობა ომსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2012 წლის 10 მაი-

სის გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების თაობაზე. შუამდგომლობაზე თანდართული ხელშეკრულების 10.2 პუნქტის თანახმად, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება საარბიტრაჟო სასამართლოში მოსარჩელის ადგილსამყოფელის მიხედვით.

სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული საარბიტრაჟო შეთანხმება არ არის ნამდვილი. „არბიტრაჟის შესახებ კანონის“ საფუძველზე, საარბიტრაჟო შეთანხმებას ძალა აქვს იმ შემთხვევაში, თუ მხარეები განსაზღვრავენ კონკრეტულ სასამართლოს, რომელსაც უნდა გადაეცეს საქმე განსახილველად, რაც მოცემულ შემთხვევაში, შესრულებული არ არის.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას იმ გარემოებაზეც ამახვილებს, რომ საქართველოსაგან განსხვავებით, რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის თანახმად, საარბიტრაჟო სასამართლოები საერთო სასამართლოთა სისტემას მიეკუთვნება. შეთანხმების საფუძველზე, გაურკვეველია, მხარეთა არჩევანი საერთო სასამართლოებს მოიცავს, თუ კერძო არბიტრაჟს. ხელშეკრულება დადებულია ქართულ და რუსულ კომპანიებს შორის. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე მხარე ქართული კომპანია იქნებოდა, გაუგებარია, რომელი სასამართლოსათვის უნდა მიემართა მას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის თანახმად, თუ არ არის დადგენილი ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო, მაშინ მხარეებს შეუძლიათ შეთანხმების გზით დაადგინონ სასამართლოს განსჯადობა. შეთანხმება ფორმდება წერილობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუნდაც სახელშეკრულებო განსჯადობა შეეხებოდეს საერთო სასამართლოთა სისტემას, მხარეები მაინც კონკრეტულ სასამართლოზე უნდა იყვნენ შეთანხმებული, რომელსაც დავის წარმოშობის შემთხვევაში მიმართავენ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს მხარეთა შეთანხმება სახელშეკრულებო განსჯადობის თაობაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიჩინა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება.

მოცემულ შემთხვევაში, ომსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლო, რომლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტო-



რიაზე იძულებით აღსრულებასაც მხარეები მოითხოვენ, ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურ სასამართლოდ არ ითვლება.

„არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე მხარეს შეიძლება უარი ეთქვას, თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, გადაწყვეტილება გამოიტანა არაუფლებამოსილმა სასამართლომ, იგი ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს და მისი საქართველოს ტერიტორიაზე იძულებით აღსრულების შესახებ გადაწყვეტილების მიღება დაუშვებელია.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ მინსკის კონვენციის 55-ე, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, „არბიტრაჟის შესახებ კანონის“ 45-ე მუხლებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ომსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლე ჟ. შ-სა და შპს „ლ. და ა. ქ. ო-ას“ შუამდგომლობა ომსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2012 წლის 10 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და იძულებით აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

2. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## განჩინება

№ა-1404-შ-29-2013

26 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** განქორწინება

### აღწერილობითი ნაწილი:

ავსტრიის ჰიტცინგის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით 2003 წლის 10 ივნისს ქ.ვენაში ჰიტცინგის მმაჩის ბიუროში ქ. შ-სა და ე. კ-ას შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა №515/2003. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2007 წლის 19 აპრილს და კანონის თანახმად აღსრულდა ავსტრიაში.

ე. კ-ამ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ავსტრიის ჰიტცინგის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2013 წლის 7 მაისის განჩინებით ე. კ-ას შუამდგომლობა ავსტრიის ჰიტცინგის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ე. კ-ას შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ავსტრიის ჰიტცინგის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით 2003 წლის 10 ივნისს ქ.ვენაში ჰიტცინგის მმაჩის ბიუროში ქ. შ-სა და ე. კ-ას შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა №515/2003. აღ-

ნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2007 წლის 19 აპრილს და კანონის თანახმად აღსრულდა ავსტრიაში.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამატკობელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, ავსტრიის ჰიტცინგის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სა-მოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ე. კ-ას შუამდგომლობა ავსტრიის ჰიტცინგის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას ავსტრიის ჰიტცინგის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც 2003 წლის 10 ივნისს ქ.ვენაში ჰიტცინგის მმაჩის ბიუროში ქ. შ-სა და ე. კ-ას შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა №515/2003.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების  
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

**განჩინება**

№ა-1589-შ-35-2013

26 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე**

**დავის საგანი: განქორწინება**

**აღწერილობითი ნაწილი:**

რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის ვიდნოვსკის მე-10 სასამართლო უბნის 2012 წლის 13 აგვისტოს დაუსრულებელი გადაწყვეტილებით შეწყდა 1998 წლის 10 იანვარს ქ.რუსთავის სრქორწინების სახლში მ. მ-სა და ო. მ-ს (ქორწინებამდელი გვარი ე-ა) შორის რეგისტრირებული ქორწინება სააქტო ჩანაწერი №08. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 9 ოქტომბერს.

ი. მ-ის წარმომადგენელმა დ. ხ-ამ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის ვიდნოვსკის მე-10 სასამართლო უბნის 2012 წლის 13 აგვისტოს დაუსრულებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

2013 წლის 28 მაისს ი. მ-ის წარმომადგენელმა დ. ხ-ამ დააზუსტა მოთხოვნა და მოითხოვა რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის ვიდნოვსკის მე-10 სასამართლო უბნის 2012 წლის 13 აგვისტოს დაუსრულებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2013 წლის 3 ივნისის განჩინებით ი. მ-ის წარმომადგენელ დ. ხ-ას შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის ვიდნოვსკის მე-10 სასამართლო უბნის 2012 წლის 13 აგვისტოს დაუსრულებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ი. მ-ის წარმომადგენელ დ. ხ-ას შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის ვიდნოვსკის მე-10 სასამართლო უბნის 2012 წლის 13 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შეწყდა 1998 წლის 10 იანვარს ქ.რუსთავის სრ ქორწინების სახლში მ. მ-სა და ო. მ-ს (ქორწინებამდელი გვარი ე-ა) შორის რეგისტრირებული ქორწინება სააქტო ჩანაწერი №08. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 9 ოქტომბერს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის ვიდნოვსკის მე-10 სასამართლო უბნის 2012 წლის 13 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ი. მ-ის წარმომადგენელ დ. ხ-ას შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის ვიდნოვსკის მე-10 სასამართლო უბნის 2012 წლის 13 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის ვიდნოვსკის მე-10 სასამართლო უბნის 2012 წლის 13 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება,

რომლითაც შეწყდა 1998 წლის 10 იანვარს ქ.რუსთავის სრ ქორ-  
ნინების სახლში მ. მ-სა და ო. მ-ს (ქორწინებამდელი გვარი ე-ა)  
შორის რეგისტრირებული ქორწინება სააქტო ჩანაწერი №08.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივ-  
რდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-1964-შ-45-2013

1 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** ქმედუუნაროდ ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

რუსეთის ფედერაციის ქ.სარატოვის საქარხნო რაიონის სა-  
სამართლოს 2001 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებით (საქმე  
№2-233) ვ. დ.ს ძე რ-ა, დაბადებული ... წლის ... აპრილს, გულ-  
რიფშის რაიონის სოფელ დ-ი, აფხაზეთის ასსრ, მცხოვრები ქ.სა-  
რატოვში, ტ-ის ქუჩაზე, სახლი 12-ის ბინა 120-ში, ცნობილ იქნა  
ქმედუუნაროდ.

მოგვიანებით, ქ.სარატოვის საქარხნო რაიონის ადმინისტრა-  
ციის 2001 წლის 14 მაისის დადგენილებით, ქმედუუნაროდ ვ. დ.  
ძე რ-ას მეურვედ დაინიშნა ლ. დ. ასული კ-ა.

ლ. კ-ამ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენა-  
ეს სასამართლოს და მოითხოვა სასამართლოს ზემოთითთე-  
ბული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა  
და აღსრულება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩ-

ნეგს, რომ ლ. კ-ას შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

წარმოდგენილი შუამდგომლობით ლ. კ-ა ითხოვს რუსეთის ფედერაციის ქ.სარატოვის საქარხნო რაიონის სასამართლოს 2001 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილების (საქმე №2-233) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას, რომლითაც ვ. დ. ძე რ-ა, დაბადებული ... წლის ... აპრილს, გულრიფშის რაიონის სოფელ დ-ი, აფხაზეთის ასსრ, მცხოვრები ქ.სარატოვში, ტ-ის ქუჩაზე, სახლი 12-ის ბინა 120-ში, ცნობილ იქნა ქმედუენაროდ. საქმის მასალების თანახმად, აღსასრულებელი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2001 წლის 15 აპრილს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა ათი წელი მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში შუამდგომლობა უცხო ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ წარმოდგენილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 142.1 მუხლით დადგენილი მოთხოვნის დარღვევით, რამდენადაც შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ.სარატოვის საქარხნო რაიონის სასამართლოს 2001 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ წარმოდგენილია კანონის აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული ათწლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, 2013 წლის 10 ივნისს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების ობიექტად მოიაზრება არა კანონიერ ძალაში შესული ნებისმიერი გადაწყვეტილება, არამედ – მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობაუნარიანი და აღსრულებადი გადაწყვეტილება. რუსეთის ფედერაციის ქ.სარატოვის საქარხნო რაიონის სასამართლოს 2001 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებას (საქმე №2-233) საქართველოს ტერიტორიაზე სამართლებრივი შედეგი ვერ მოჰყვება აღნიშნული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. შესაბამისად, შუამდგომლობა დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ლ. კ.-ას შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ.სარატოვის საქარხნო რაიონის სასამართლოს 2001 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილების (საქმე №2-233) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-4766-შ-96-2012

1 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** განქორწინება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

რუსეთის ფედერაციის ქ.კრასნოიარსკის ცენტრალური რაიონის №92 სასამართლო უზნის 2012 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით ლ. ჯ.-ის სარჩელი განქორწინების თაობაზე დაკმაყოფილდა. გაუქმდა ქ.თბილისში 1994 წლის 25 დეკემბერს ლ. ჯ.-სა და დ. ჯ.-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება, სააქტო ჩანაწერი №1054. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 2 ივლისს.



დ. ჯ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს რუსეთის ფედერაციის ქ.კრასნოიარსკის ცენტრალური რაიონის №92 სასამართლო უბნის 2012 წლის 30 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

2013 წლის 30 იანვარს დ. ჯ-მა დააზუსტა მოთხოვნა და მოითხოვა რუსეთის ფედერაციის ქ.კრასნოიარსკის ცენტრალური რაიონის №92 სასამართლო უბნის 2012 წლის 30 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2013 წლის 11 თებერვლის განჩინებით დ. ჯ-ის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ.კრასნოიარსკის ცენტრალური რაიონის №92 სასამართლო უბნის 2012 წლის 30 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა გაცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ დ. ჯ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ რუსეთის ფედერაციის ქ.კრასნოიარსკის ცენტრალური რაიონის №92 სასამართლო უბნის 2012 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით ლ. ჯ-ის სარჩელი განქორწინების თაობაზე დაკმაყოფილდა. გაუქმდა ქ.თბილისში 1994 წლის 25 დეკემბერს ლ. ჯ-სა და დ. ჯ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება, სააქტო ჩანაწერი №1054. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 2 ივლისს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, რუსეთის ფედერაციის ქ.კრასნოიარსკის ცენტრალური რაიონის №92 სასამართლო უბნის 2012 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალა-

ტის მიერ უნდა იქნას ცნობილი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. დ. ჯ-ის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ.კრასნოიარსკის ცენტრალური რაიონის №92 სასამართლო უბნის 2012 წლის 30 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას რუსეთის ფედერაციის ქ.კრასნოიარსკის ცენტრალური რაიონის №92 სასამართლო უბნის 2012 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. ჯ-ის სარჩელი განქორწინების თაობაზე დაკმაყოფილდა. გაუქმდა ქ.თბილისში 1994 წლის 25 დეკემბერს ლ. ჯ-სა და დ. ჯ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება, სააქტო ჩანაწერი №1054.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების  
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

**განჩინება**

№ა-791-შ-11-2013

1 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** განქორწინება

**აღწერილობითი ნაწილი:**

თურქეთის რესპუბლიკის სერიქის პირველი ინსტანციის სა-  
სამართლოს 2013 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით ქ. ფ-სა  
(ქ-ა) და ა. ფ-ს შორის სეიჰანის რაიონში ნარლიჯის სარეგისტრა-  
ციო ნიგნში რეგისტრირებული №37 ქორწინება გაუქმდა. აღ-  
ნიშნულის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2013  
წლის 16 იანვარს და შუამდგომლობის ავტორის განამრტებით,  
კანონის თანახმად, აღსრულებულია თურქეთში.

ქ. ფ-მა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს  
სასამართლოს თურქეთის რესპუბლიკის სერიქის პირველი ინ-  
სტანციის სასამართლოს 2013 წლის 16 იანვრის გადაწყვეტი-  
ლების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საპრო-  
ცესო კოდექსის 2013 წლის 11 მარტის განჩინებით ქ. ფ-ის შუამ-  
დგომლობა თურქეთის რესპუბლიკის სერიქის პირველი ინსტან-  
ციის სასამართლოს 2013 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილების  
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა  
წარმოებაში.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ  
ქ. ფ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარე-  
მოებათა გამო:

დადგენილია, რომ თურქეთის რესპუბლიკის სერიქის პირ-  
ველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 16 იანვრის გადაწყ-

ყვეტილებით ქ. ფ-სა (ქ-ა) და ა. ფ-ს შორის სეიჰანის რაიონში ნარლიჯის სარეგისტრაციო ნიგში რეგისტრირებული №37 ქორ-ნიგება გაუქმდა. აღნიშნულის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2013 წლის 16 იანვარს და შუამდგომლობის ავტორის განამრტებით, კანონის თანახმად, აღსრულებულია თურქეთში.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვასწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, თურქეთის რესპუბლიკის სერიქის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ქ. ფ-ის შუამდგომლობა თურქეთის რესპუბლიკის სერიქის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას თურქეთის რესპუბლიკის სერიქის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც ქ. ფ-სა (ქ-ა) და ა. ფ-ს შორის სეიჰანის რაიონში ნარლიჯის სარეგისტრაციო ნიგში რეგისტრირებული №37 ქორნიგება გაუქმდა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების  
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

**განჩინება**

№ა-1588-შ-36-2013

8 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** განქორწინება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ბელარუსის რესპუბლიკის მოგილევის ოლქის ქ.ბობრუისკის ლენინის რაიონის სასამართლოს 2000 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით (№2-310/2000) შეწყვეტილ იქნა 1994 წლის 24 აპრილს, ბელარუსის რესპუბლიკის მოგილევის ოლქის ბობრუისკის რაიონის ვოროტინსკის სასოფლო საბჭოში რეგისტრირებული ქორწინება (სააქტო ჩანაწერი №4) ე. გ. ასულ ფ-სა და ე. ი. ძე ფ-ს შორის.

ბელარუსის რესპუბლიკის მოგილევის ოლქის ბობრუისკის რაიონისა და ქალაქ ბობრუისკის სასამართლოს 2013 წლის 2 აპრილის განჩინებით გასწორდა უსწორობა ქ.ბობრუისკის ლენინის რაიონის სასამართლოს 2000 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებაში, სამოქალაქო საქმეზე ე. ი. ძე ფ-ის სარჩელისა გამო ე. გ. ასული ფ-ის მიმართ ქორწინების შეწყვეტის თაობაზე, სარეზოლუციო ნაწილის პირველ აბზაცში ნაცვლად ქორწინების რეგისტრაციის თარიღისა: „1994 წლის 24 აპრილი“, მიეთითა: „1993 წლის 24 აპრილი“.

ე. ფ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილებისა და განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა ზემომითითებულ ნაწილებში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 მაისის განჩინებით ე. ფ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ე. ფ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ბელარუსის რესპუბლიკის მოგილევის ოლქის ქ.ბობრუსისკის ლენინის რაიონის სასამართლოს 2000 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით (№2-310/2000) შეწვეტილ იქნა 1994 წლის 24 აპრილს, ბელარუსის რესპუბლიკის მოგილევის ოლქის ბობრუსისკის რაიონის ვოროტინსკის სასოფლო საბჭოში რეგისტრირებული ქორწინება (სააქტო ჩანაწერი №4) ე. გ. ასულ ფ-სა და ე. ი. ძე ფ-ს შორის.

ბელარუსის რესპუბლიკის მოგილევის ოლქის ბობრუსისკის რაიონისა და ქალაქ ბობრუსისკის სასამართლოს 2013 წლის 2 აპრილის განჩინებით გასწორდა უსწორობა ქ.ბობრუსისკის ლენინის რაიონის სასამართლოს 2000 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებაში, სამოქალაქო საქმეზე ე. ი. ძე ფ-ის სარჩელისა გამო ე. გ. ასული ფ-ის მიმართ ქორწინების შეწყვეტის თაობაზე, სარეზოლუციო ნაწილის პირველ აბზაცში ნაცვლად ქორწინების რეგისტრაციის თარიღისა: „1994 წლის 24 აპრილი“, მიეთითა: „1993 წლის 24 აპრილი“.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი ბელარუსის რესპუბლიკის მოგილევის ოლქის ქ.ბობრუსისკის ლენინის რაიონის სასამართლოს 2000 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება (№2-310/2000), რომლითაც შეწვეტილ იქნა 1994 წლის 24 აპრილს, ბელარუსის რესპუბლიკის მოგილევის ოლქის ბობრუსისკის რაიონის ვოროტინსკის სასოფლო საბჭოში რეგისტრირებული ქორწინება (სააქტო ჩანაწერი №4) ე. გ. ასულ ფ-სა და ე. ი. ძე ფ-ს შორის, აგრეთვე, ბელარუსის რესპუბლიკის მოგილევის ოლქის ბობრუსისკის რაიონისა და ქალაქ ბობრუსისკის სასამართლოს

2013 წლის 2 აპრილის განჩინება, რომლითაც გასწორდა უსწორობა ქ.ბობრუისკის ლენინის რაიონის სასამართლოს 2000 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებაში.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ე. გ. ასული ფ-ის შუამდგომლობა ბელარუსის რესპუბლიკის მოგილევის ოლქის ქ.ბობრუისკის ლენინის რაიონის სასამართლოს 2000 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილების (№2-310/2000), აგრეთვე, ბელარუსის რესპუბლიკის მოგილევის ოლქის ბობრუისკის რაიონისა და ქალაქ ბობრუისკის სასამართლოს 2013 წლის 2 აპრილის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას ბელარუსის რესპუბლიკის მოგილევის ოლქის ქ.ბობრუისკის ლენინის რაიონის სასამართლოს 2000 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება (№2-310/2000), იმ ნაწილში, რომლითაც შეწვეტილ იქნა 1994 წლის 24 აპრილს, ბელარუსის რესპუბლიკის მოგილევის ოლქის ბობრუისკის რაიონის ვოროტინსკის სასოფლო საბჭოში რეგისტრირებული ქორწინება (სააქტო ჩანაწერი №4) ე. გ. ასულ ფ-სა და ე. ი. ძე ფ-ს შორის, აგრეთვე, ბელარუსის რესპუბლიკის მოგილევის ოლქის ბობრუისკის რაიონისა და ქალაქ ბობრუისკის სასამართლოს 2013 წლის 2 აპრილის განჩინება, რომლითაც გასწორდა უსწორობა ქ.ბობრუისკის ლენინის რაიონის სასამართლოს 2000 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებაში, სამოქალაქო საქმეზე ე. ი. ძე ფ-ის სარჩელისა გამო ე. გ. ასული ფ-ის მიმართ ქორწინების შეწყვეტის თაობაზე, სარეზოლუციო ნაწილის პირველ აბზაცში ნაცვლად ქორწინების რეგისტრაციის თარიღისა: „1994 წლის 24 აპრილი“, მიეთითა: „1993 წლის 24 აპრილი“;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების  
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

**ბანრინება**

№ა-1430-შ-31-2013

15 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრია,  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** სააქტო ჩანაწერებში ცვლილებების შეტანა  
და მოწმობების გაცემა

**აღწერილობითი ნაწილი:**

რუსეთის ფედერაციის ქ.სტავროპოლის პრომიშლენის რაი-  
ონული სასამართლოს 2009 წლის 18 მარტის გადაწყვეტილე-  
ბით ნ. მ. ძე ბ-ის განცხადება დაკმაყოფილდა, ქ.სტავროპოლის,  
სტავროპოლის მხარის მმართველის სამმართველოს მმართველის განყოფი-  
ლებას დაევალა ცვლილებების შეტანა 1983 წლის 22 ივლისის  
№1109 სააქტო ჩანაწერებში ქორწინების შესახებ ნ. მ. ძე ბ-სა  
და ო. ი. ასულ ნ-ოს შორის და ასევე ქორწინების მოწმობის გა-  
ცემა, გრაფაში – „მეუღლის დაბადების თარიღი“ ... წლის ... თე-  
ბერვლის მითითება; ცვლილებების შეტანა 19.01.1983 წლის №14  
სააქტო ჩანაწერებში მამობის დადგენის შესახებ ს. ნ-ს ძე ნ-ოს  
მიმართ და მამობის დადგენის მოწმობის გაცემა, გრაფაში – „მა-  
მის დაბადების თარიღი“ ... წლის ... თებერვლის მითითება; ცვლი-  
ლების შეტანა 28.05.1991 წლის №1813 სააქტო ჩანაწერში დ. ნ.ს  
ძე ბ-ის დაბადების შესახებ და დაბადების მოწმობის გაცემა,  
გრაფაში – „მამის დაბადების თარიღი“ ... წლის ... თებერვლის  
მითითება; აღნიშნული გადაწყვეტილებით ქ.სტავროპოლის  
სტავროპოლის მხარის მმართველის სამმართველოს მმართველის განყოფი-  
ლებას ასევე დაევალა ცვლილებების შეტანა 2007 წლის 29 აგვის-  
ტოს №482 სააქტო ჩანაწერში განქორწინების შესახებ ნ. მ. ძე  
ბ-ის და ო. ი. ასულ ნ-ოს შორის და განქორწინების მოწმობის  
გაცემა, გრაფაში – „მეუღლის დაბადების თარიღი“ ... წლის... თე-  
ბერვლის მითითება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მო-



მართა ნ. მ. ძე ბ-ის წარმომადგენელმა ზ. პ-მა და მოითხოვა რუსეთის ფედერაციის ქ.სტავროპოლის პრომიშლენის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება იმ მოტივით, რომ ნ. ბ-ი დაიბადა საქართველოში, შესაბამისად, სამოქალაქო რეესტრის მონაცემებში უნდა შევიდეს სათანადო ცვლილება.

წარმოდგენილი შუამდგომლობითა და თანდართული მასალებით დასტურდება, რომ ნ. ბ-ი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა, მისი განცხადება განხილულ იქნა ზეპირი მოსმენით, რომელშიც მონაწილეობდა უშუალოდ განმცხადებელი. გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში 2009 წლის 31 მარტს შევიდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მაისის განჩინებით წარმოდგენილი შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა ზემოხსენებული სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მართა ნ. მ. ძე ბ-ის წარმომადგენელმა ზ. პ-მა და მოითხოვა რუსეთის ფედერაციის ქ.სტავროპოლის პრომიშლენის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება იმ მოტივით, რომ ნ. ბ-ი დაიბადა საქართველოში, შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ესაჭიროება იმისათვის, რომ სამოქალაქო რეესტრში არსებულ ნ. ბ-ის დაბადების სააქტო ჩანაწერში შევიდეს სათანადო ცვლილება.

რუსეთის ფედერაციის ქ.სტავროპოლის პრომიშლენის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით ნ. მ. ძე ბ-ის განცხადება დაკმაყოფილდა, ქ.სტავროპოლის, სტავროპოლის მხარის მმაჩის სამმართველოს მმაჩის განყოფილებას დაევალა ცვლილების შეტანა 1983 წლის 22 ივლისის №1109 სააქტო ჩანაწერებში ქორწინების შესახებ ნ. მ. ძე ბ-სა და ო. ი. ასულ ნ-ოს შორის და ასევე ქორწინების მოწმობის გაცემა, გრაფაში – „მეუღლის დაბადების თარიღი“ ... წლის ... თებერვლის მითითება; ცვლილებების შეტანა 19.01.1983 წლის №14 სააქტო ჩანაწერებში მამობის დადგენის შესახებ ს. ნ.ს ძე ნ-ოს

მიმართ და მამობის დადგენის მოწმობის გაცემა, გრაფაში – „მამის დაბადების თარიღი“ ... წლის ... თებერვლის მითითება; ცვლილების შეტანა 28.05.1991 წლის №1813 სააქტო ჩანაწერში დ. ნ.ს ძე ბ-ის დაბადების შესახებ და დაბადების მოწმობის გაცემა, გრაფაში – „მამის დაბადების თარიღი“ ... წლის ... თებერვლის მითითება; აღნიშნული გადაწყვეტილებით ქ.სტავროპოლის სტავროპოლის მხარის მმჩის სამმართველოს მმჩის განყოფილებას ასევე დაევალა ცვლილების შეტანა 2007 წლის 29 აგვისტოს №482 სააქტო ჩანაწერში განქორწინების შესახებ ნ. მ. ძე ბ-ის და ო. ი.ასულ ნ-ოს შორის და განქორწინების მოწმობის გაცემა, გრაფაში – „მეუღლის დაბადების თარიღი“ ... წლის ... თებერვლის მითითება.

ამასთან, წარმოდგენილი შუამდგომლობითა და თანდართული მასალებით დასტურდება, რომ ნ. ბ-ი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გადაწყვეტილებით, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებასაც მხარე მოითხოვს, თავად ნ. ბ-ის დაბადების სააქტო ჩანაწერში ცვლილება არ განხორციელებულა, არამედ, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ცვლილებები შეეხო მისი ქორწინების მოწმობაში, შვილების დაბადების მოწმობებსა და სხვა დოკუმენტებში დაფიქსირებულ ნ. ბ-ის დაბადების თარიღს.

ამდენად, 2009 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების იურიდიულ ინტერესად ნ. ბ-ის დაბადების სააქტო ჩანაწერში ცვლილების შეტანის მითითება სრულიად გაუმართლებელი და დაუსაბუთებელია.

ასეც რომ არ იყოს, საკასაციო სასამართლო ვერ დააკმაყოფილებდა მხარის შუამდგომლობას შემდეგ გარემოებათა გამო:

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ მინსკის კონვენციის 55-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილებათა ცნობასა და მათი აღსრულების ნებართვის გაცემაზე უარის თქმა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ამ კონვენციის დებულებათა თანახმად, ხოლო კონვენციით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში – იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, საქმე განეკუთვნება მისი დანესებულების განსაკუთრებულ კომპე-

ტენციას.

„სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს სამოქალაქო აქტების ჩანაწერებში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანაზე უფლებამოსილ ორგანოს, კერძოდ, კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოთა უფლებამოსილება სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანა. ამავე კანონის 76-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანის საფუძველია უფლებამოსილი პირის განცხადება და ამ კანონის 78-ე-80-ე მუხლებით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოების არსებობა. საგულისხმოა კანონის 82-ე მხულით გათვალისწინებული დებულება, რომლის მიხედვითაც სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო არ ახორციელებს ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანას სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ რეგისტრირებულ სამოქალაქო აქტის ჩანაწერში.

ამდენად, „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ მინსკის კონვენციისა და „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებათა ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოში რეგისტრირებულ სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანა შეიძლება განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მხოლოდ საქართველოს კომპეტენტური ორგანოების მიერ.

საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ სასამართლოს ამგვარი დასკვნა შესაბამისობაშია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკასთან (სუსგ, 2009 წლის 6 ივლისი, №ა-842-შ-34-09).

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით, „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციის 55-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით და

## დაადგინა:

1. ნ. ბ-ის წარმომადგენელ ზ. პ-ის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ.სტავროპოლის პრომიშლენის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

2. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

### განჩინება

№ა-404-შ-4-2013

15 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის ქ.ოდესის სუვერენსკის რაიონის სასამართლოს 2007 წლის 3 დეკემბრის განაჩენით მ. რ-ი და ა. ი-ი ცნობილ იქნენ დამნაშავედ და დაზარალებული ტ. ე-ას სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 65405 გრივნისა და 50 კაპიკის ანაზღაურება.

უკრაინის ოდესის ოლქის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2008 წლის 15 ივლისის განჩინებით ზემოაღნიშნული განაჩენი დარჩა ძალაში.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ტ. ე-ამ და მოითხოვა თანხის დაკისრების ნაწილში უკრაინის ქ.ოდესის სუვერენსკის რაიონის სასამართლოს 2007 წლის

3 დეკემბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულება.

შუამდგომლობაზე დართული ცნობის თანახმად, განაჩენი კანონიერ ძალაშია შესული 2008 წლის 15 ივლისს და ექვემდებარება აღსრულებას, თანხის დაკისრების ნაწილში ის უკრაინის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა და განაჩენი კანონით დადგენილი წესით გაეცნო ა. ი-ს.

საქმეში წარმოდგენილი სასამართლო ბეჭდით დამოწმებული განაჩენითა და მისი უცვლელად დატოვების შესახებ განჩინებით დასტურდება, რომ სისხლის სამართლის საქმე განხილულია ზეპირი მოსმენით და საქმის განხილვაში მონაწილეობა მიღებული აქვთ განსასჯელებს, ამასთანავე, სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას წარმოადგენს ის, რომ განსასჯელი მ. რ-ი უკრაინის, ხოლო ა. ი-ი საქართველოს მოქალაქეა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 თებერვლის განჩინებით ტ. ე-ას შუამდგომლობა ა. ი-ის მიმართ მიღებულ იქნა წარმოებაში განსახილველად, ხოლო მ. რ-ის მიმართ უარი ეთქვა წარმოებაში მიღებაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა ზემოხსენებული სასამართლო განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უკრაინის ქ.ოდესის სუვერენსკის რაიონის სასამართლოს 2007 წლის 3 დეკემბრის განაჩენით მ. რ-ი და ა. ი-ი ცნობილ იქნენ დამნაშავედ და დაზარალებული ტ. ე-ას სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 65405 გრივნისა და 50 კაპიკის ანაზღაურება.

უკრაინის ოდესის ოლქის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2008 წლის 15 ივლისის განჩინებით ზემოაღნიშნული განაჩენი დარჩა ძალაში.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მართა ტ. ე-ამ და მოითხოვა თანხის დაკისრების ნაწილში უკრაინის ქ.ოდესის სუვერენსკის რაიონის სასამართლოს 2007 წლის 3 დეკემბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულება.

შუამდგომლობაზე დართული ცნობის თანახმად, განაჩენი

კანონიერ ძალაშია შესული 2008 წლის 15 ივლისს და ექვემდებარება აღსრულებას, თანხის დაკისრების ნაწილში ის უკრაინის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა და განაჩენი კანონით დადგენილი წესით გაეცნო ა. ი-ს.

საქმეში წარმოდგენილი სასამართლო ბეჭდით დამოწმებული განაჩენითა და მისი უცვლელად დატოვების შესახებ განჩინებით დასტურდება, რომ სისხლის სამართლის საქმე განხილულია ზეპირი მოსმენით და საქმის განხილვაში მონაწილეობა მიღებული აქვთ განსასჯელებს, ამასთანავე, სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას წარმოადგენს ის, რომ განსასჯელი მ. რ-ი უკრაინის, ხოლო ა. ი-ი საქართველოს მოქალაქეა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი არ არსებობს არც გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების ნაწილში, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა.

საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია.

ამდენად, ა. ი-ის ტ. ე-ას სასარგებლოდ 65405 გრიენისა და 50 კაპიკის ანაზღაურების ნაწილში უკრაინის ქ.ოდესის სუვერენსკის რაიონის სასამართლოს 2007 წლის 3 დეკემბრის განაჩენი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-

მეთა პალატის მიერ ცნობილი უნდა იქნეს და მიექცეს საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ტ. ე-ას შუამდგომლობა ა. ი-ის ტ. ე-ას სასარგებლოდ 65405 გრივნისა და 50 კაპიკის ანაზღაურების ნაწილში უკრაინის ქ.ოდესის სუვერენსკის რაიონის სასამართლოს 2007 წლის 3 დეკემბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ქ.ოდესის სუვერენსკის რაიონის სასამართლოს 2007 წლის 3 დეკემბრის განაჩენი ა. ი-ის ტ. ე-ას სასარგებლოდ 65405 გრივნისა და 50 კაპიკის ანაზღაურების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების  
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

**განჩინება**

№ა-970-შ-16-2013

15 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** განქორწინება

**აღწერილობითი ნაწილი:**

გერმანიის ზაარბრიუკენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით საქართველოში, ქ.თბილისში, 1998 წლის 3 ოქტომბერს რეგისტრირებული №944 ქორწინება ე. ფ-სა და მ. რ-ს შორის შეწყდა, ამავე გადაწყვეტილებით განისაზღვრა მხარეთა საპენსიო წილები, ხოლო საპროცესო ხარჯები ერთმანეთის მიმართ გაუქმდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ე. ფ-ის წარმომადგენელმა ნ. კ-მა და იშუამდგომლა განქორწინების ნაწილში დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ.

შუამდგომლობის ავტორის წერილობითი განმარტების შეაბამისად, გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, აღსრულებულია გერმანიაში. აპოსტილით დამოწმებული გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ ის 2011 წლის 19 აგვისტოდან შესულია კანონიერ ძალაში, დასტურდება, რომ საქმის განხილვაში მხარეები მონაწილეობას საპროცესო წარმომადგენლების – ადვოკატების მეშვეობით იღებდნენ, ასევე დასტურდება ქორწინების საქართველოში რეგისტრაციის ფაქტი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 მარტის განჩინებით ე. ფ-ის შუამდგომლობა გერმანიის ზაარბრიუკენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.



### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა ზემოხსენებული სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის ზაარბრიუკენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით საქართველოში, ქ.თბილისში, 1998 წლის 3 ოქტომბერს რეგისტრირებული №944 ქორწინება ე. ფ-სა და მ. რ-ს შორის შეწყდა, ამავე გადაწყვეტილებით განისაზღვრა მხარეთა საპენსიო წილები, ხოლო საპროცესო ხარჯები ერთმანეთის მიმართ გაუქმდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ე. ფ-ის წარმომადგენელმა ნ. კ-მა და იშუამდგომლა განქორწინების ნაწილში დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ.

შუამდგომლობის ავტორის წერილობითი განმარტების შესაბამისად, გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, აღსრულებულია გერმანიაში. აპოსტილით დამოწმებული გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ ის 2011 წლის 19 აგვისტოდან შესულია კანონიერ ძალაში, დასტურდება, რომ საქმის განხილვაში მხარეები მონაწილეობას საპროცესო წარმომადგენლების – ადვოკატების მეშვეობით იღებდნენ, ასევე დასტურდება ქორწინების საქართველოში რეგისტრაციის ფაქტი.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, გერმანიის ზაარბრიუკენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება მხარეთა განქორწინების ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ ცნობილი უნდა იქნეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ე. ფ-ის შუამდგომლობა გერმანიის ზაარბრიუკენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. გერმანიის ზაარბრიუკენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება ე. ფ-სა და მ. რ-ის განქორწინების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-1842-შ-41-2013

29 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** შეილად აყვანა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

საბერძნეთის ვერიას მრავალწევრიანი პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით ხ. ვ-მა შეილად აიყვანა ე. შ-ე, რომელიც დაიბადა ქ.თბილისში ... წლის ... თებერვალს. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 28 მარტს და საბერძნეთის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

ე. შ-ის წარმომადგენელმა ლ. ბ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს საბერძნეთის ვერიას მრავალწევრიანი პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 28 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2013 წლის 1 ივლისის განჩინებით ე. შ-ის წარმომადგენელ ლ. ბ-ის შუამდგომლობა საბერძნეთის ვერიას მრავალწევრიანი პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 28 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ე. შ-ის წარმომადგენელ ლ. ბ-ის შუამდგომლობა საბერძნეთის ვერიას მრავალწევრიანი პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 28 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ საბერძნეთის ვერიას მრავალწევრიანი პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით ხ. ვ-მა შვილად აიყვანა ე. შ-ე, რომელიც დაიბადა ქ.თბილისში ... წლის ... თებერვალს. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 28 მარტს და საბერძნეთის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, საბერძნეთის ვერიას მრავალწევრიანი პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 28 მარტი გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ე. შ-ის წარმომადგენელ ლ. ბ-ის შუამდგომლობა საბერძნეთის ვერიას მრავალწევრიანი პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 28 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად საბერძნეთის ვერიას მრავალწევრიანი პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც ხ. ვ-მა შეიღად აიყვანა ე. შ-ე რომელიც დაიბადა ქ.თბილისში ... წლის ... თებერვალს.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ას-1013-949-2012

31 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**

**მოსამართლე: პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** სანოტარო აქტის ბათილად ცნობა, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 10 მაისის განჩინებით ა. კ-ის სააპელაციო

საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა საჩხერის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. კ-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება. ამავდროულად, კასატორმა იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 ივლისის განჩინებით ა. კ-ის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ არ დაკმაყოფილდა, საკასაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და კასატორს დაევალა განჩინების ასლის გადაცემიდან 5 დღის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოედგინა 1250 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი.

2012 წლის 19 ივლისის განჩინებით კასატორს, მისივე განცხადების საფუძველზე, გაუგრძელდა ხარვეზის შევსების ვადა განჩინების ჩაბარებიდან 5 დღით.

2012 წლის 31 ივლისს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა ა. კ-მ. მან განცხადებას თან დაურთო 300 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება ან საამისოდ გარკვეული ვადის მიცემა, რამდენადაც ეკონომიური მდგომარეობის გამო იგი ვერ ახერხებს თანხის სრულად გადახდას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და წარმოდგენილი შუამდგომლობის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ა. კ-ის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო საკასაციო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ

საკასაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო საჩივრის ავტორს განუსაზღვრავს ვადას და დაუდგენს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომლებიც აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებისთვის უნდა შესრულდეს. სასამართლოს მიერ აღნიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობა საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 ივლისის განჩინებით ა. კ.-ს დაევალა განჩინების ასლის გადაცემიდან 5 დღის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოედგინა 1250 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი. ამავე სასამართლოს 2012 წლის 19 ივლისის განჩინებით კასატორს, მისივე განცხადების საფუძველზე, გაუგრძელდა ხარვეზის შევსების ვადა განჩინების ჩაბარებიდან 5 დღით. სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში კასატორმა წარმოადგინა განცხადება სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადების ან მათი ოდენობის შემცირების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობას, რის გამოც მას არა აქვს საშუალება წინასწარ გადაიხადოს სასამართლო ხარჯები. ამ გარემოების დადასტურების ტვირთი ეკისრება თვითონ მხარეს, რომელიც ითხოვს სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადებას.

მოცემულ შემთხვევაში, კასატორი შუამდგომლობს სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე ეკონომიური მდგომარეობის გამო. აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები კასატორს არ წარმოუდგენია, რაც მის მოვალეობას წარმოადგენდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე-103-ე მუხლების შესაბამისად. ამდენად, კასატორის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შეახებ დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ უნდა დაკმაყოფილდეს ასევე კასატორის შუამდგომლობა ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების თაობაზე, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, კასატორს ერთხელ უკვე გაუგრძელდა ხარვეზის შევსების ვადა, ხოლო, წარმოდგენილი განცხადება არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას დადგენილ ვადაში ხარვეზის შევსების შეუძლებლობის შესახებ და არც ახალი მტკიცებულებებია წარმოდგენილი, რომლებიც კასატორის მძიმე ქონებრივ მდგომარეობას დაადასტურებდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ მხარე ვალდებულია სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შეასრულოს ის საპროცესო მოქმედება, რაც მას სასამართლომ დაავალა, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კარგავს ამ საპროცესო მოქმედების შესრულების უფლებას.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი სასამართლო მოხელის მიერ შედგენილი აქტით დასტურდება, რომ კასატორის წარმომადგენელს ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესახებ საკასაციო სასამართლოს განჩინების საფუძვლები და სარეზოლუციო ნაწილი ეცნობა საქმეში მის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე (...) სატელეფონო შეტყობინებით 2012 წლის 23 ივლისს, რაც ითვლება სასამართლო გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე და 73.1 მუხლების შესაბამისად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 და 61-ე მუხლების მიხედვით, მოცემულ შემთხვევაში, კასატორისათვის ხარვეზის შევსების 5-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2012 წლის 24 ივლისს და ამოიწურა ამავე წლის 30 ივლისს. საქმის მასალებით ირკვევა, რომ სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის განმავლობაში კასატორს ხარვეზი არ გამოუსწორებია. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან კასატორმა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ შეავსო ხარვეზი, ამიტომ მისი საკასაციო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე და 374.3 მუხლების შესაბამისად, კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 300 ლარი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილით, 401-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. კ-ის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
2. ა. კ-ის შუამდგომლობა ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
3. ა. კ-ის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად;
4. ა. კ-ს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე მ. ჭ-ის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი;
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების  
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

**განჩინება**

№ა-2515-შ-58-2013

1 აგვისტო, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: განქორწინება

**აღწერილობითი ნაწილი:**

გერმანიის დიობელნის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით ქ.თბილისის მმარის



ბიუროში 1988 წლის 25 ივნისს ლ. უ-სა (ჰ-სა) და ა. ჰ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება (III-TI №483727) შეწყდა. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2013 წლის 22 იანვარს.

ლ. ჰ-მა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის დიობელნის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ.

შუამდგომლობის ავტორმა წარმოადგინა ა. ჰ-ის ნოტარიულად დამონმეზული თანხმობა, რომელშიც იგი ადასტურებს, რომ არ არის წინააღმდეგი გერმანიის დიობელნის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2013 წლის 30 ივლისის განჩინებით ლ. ჰ-ის შუამდგომლობა გერმანიის დიობელნის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ლ. ჰ-ის შუამდგომლობა გერმანიის დიობელნის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის დიობელნის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით ქ.თბილისის მმაჩის ბიუროში 1988 წლის 25 ივნისს ლ. უ-სა (ჰ-სა) და ა. ჰ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება (III-TI №483727) შეწყდა. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2013 წლის 22 იანვარს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მო-

ცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამატკობლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, გერმანიის დიობელნის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ლ. ჰ-ის შუამდგომლობა გერმანიის დიობელნის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის დიობელნის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ქ.თბილისის მმჩის ბიუროში 1988 წლის 25 ივნისს ლ. უ-სა (ჰ-სა) და ა. ჰ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება (III-TI №483727) შეწყდა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების  
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

**განჩინება**

№ა-2179-შ-50-2013

13 სექტემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე**

**დავის საგანი:** განქორწინება

**აღწერილობითი ნაწილი:**

თურქეთის რესპუბლიკის მარმარისის მეორე ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით ზ. ა-ი და ფ. ი-ი განქორწინდნენ. აღნიშნულის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 8 ნოემბერს და შუამდგომლობის ავტორის განამარტებით, აღსრულებულია თურქეთში.

ზ. ა-მა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს თურქეთის რესპუბლიკის მარმარისის მეორე ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2013 წლის 8 ივლისის განჩინებით ზ. ა-ის შუამდგომლობა თურქეთის რესპუბლიკის მარმარისის მეორე ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ზ. ა-ის შუამდგომლობა თურქეთის რესპუბლიკის მარმარისის მეორე ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ თურქეთის რესპუბლიკის მარმარისის მეორე ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

ყვეტილებით ზ. ა-ი და ფ. ი-ი განქორწინდნენ. აღნიშნულის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 8 ნოემბერს და შუამდგომლობის ავტორის განამარტებით, აღსრულებულია თურქეთში.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამატკობლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, თურქეთის რესპუბლიკის მარმარისის მეორე ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ზ. ა-ის შუამდგომლობა თურქეთის რესპუბლიკის მარმარისის მეორე ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას თურქეთის რესპუბლიკის მარმარისის მეორე ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. ა-ი და ფ. ი-ი განქორწინდნენ.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## განჩინება

№ა-2288-შ-53-2013

13 სექტემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** განქორწინება

### აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის კემპტენის (ალგოი) პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით გაუქმდა კემპტენის მმარის ბიუროში ქ. ა-სა და ა. ა-ს შორის 2006 წლის 14 აგვისტოს რეგისტრირებული ქორწინება (სარეგისტრაციო ნომრით (166/2006). აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 19 ივლისს და შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, კანონის თანახმად, აღსრულებულია გერმანიაში.

ქ. ა-ის წარმომადგენელმა ნ. ე-ემ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის კემპტენის (ალგოი) პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2013 წლის 19 ივლისის განჩინებით ქ. ა-ის წარმომადგენელ ნ. ე-ის შუამდგომლობა გერმანიის კემპტენის (ალგოი) პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ქ. ა-ის წარმომადგენელ ნ. ე-ის შუამდგომლობა გერმანიის კემპტენის (ალგოი) პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის

9 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის კემპტენის (ალგოი) პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით გაუქმდა კემპტენის მმარის ბიუროში ქ. ა-სა და ა. ა-ს შორის 2006 წლის 14 აგვისტოს რეგისტრირებული ქორწინება (სარეგისტრაციო ნომრით (166/2006). აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 19 ივლისს და შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, კანონის თანახმად, აღსრულებულია გერმანიაში.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, გერმანიის კემპტენის (ალგოი) პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ქ. ა-ის წარმომადგენელ ნ. ე-ის შუამდგომლობა გერმანიის კემპტენის (ალგოი) პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის კემპტენის (ალგოი) პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა კემპტე-

ნის მმართველის ბიუროში ქ. ა-სა და ა. ა-ს შორის 2006 წლის 14 აგვისტოს რეგისტრირებული ქორწინება (სარეგისტრაციო ნომრით (166/2006).

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-2454-შ-56-2013

18 სექტემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიჭვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** განქორწინება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გერმანიის შვანდორფის რაიონული სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2012 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით განქორწინდნენ 2009 წლის 9 მაისს მაქსჰუტტე-ჰაიდ-ჰოფის მმართველის ბიურის ოფიცრის წინაშე დაქორწინებული (ქორწინების რეგისტრაციის №E9/2009) მეუღლეები: ლ-ი მ. და ვ-რ მ. ს. ი-ი.

მ. ლ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა დასახელებულ ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივლისის განჩინებით მ. ლ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნე-

ნებს, რომ მ. ლ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის შვანდორფის რაიონული სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2012 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით განქორწინდნენ 2009 წლის 9 მაისს მაქსჰუტტე-ჰაიდჰოფის მმაჩის ბიურის ოფიცრის წინაშე დაქორწინებული (ქორწინების რეგისტრაციის №E9/2009) მეუღლეები: ლ-ი მ. და ვ-რ მ. ს. ი-ი.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, გერმანიის შვანდორფის რაიონული სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2012 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც განქორწინდნენ 2009 წლის 9 მაისს მაქსჰუტტე-ჰაიდჰოფის მმაჩის ბიურის ოფიცრის წინაშე დაქორწინებული (ქორწინების რეგისტრაციის №E9/2009) მეუღლეები: ლ-ი მ. და ვ-რ მ. ს. ი-ი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მ. ლ-ის შუამდგომლობა გერმანიის შვანდორფის რაიონული სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2012 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის



შენდორფის რაიონული სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2012 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც განქორწინდნენ 2009 წლის 9 მაისს მაქსკუტტე-ჰაიდჰოფის მმარის ბიურის ოფიცრის წინაშე დაქორწინებული (ქორწინების რეგისტრაციის №E9/2009) მეუღლეები: ლ-ი მ. და ვ-რ მ. ს. ი. ი.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-2013-შ-46-2013

1 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრია,  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

უკრაინის ლუგანსკის ოლქის ჰოპასნიანსკის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით ი. რ-ის სარჩელი ჯ. რ-ის მიმართ სრულად დაკმაყოფილდა, 1997 წლის 25 აგვისტოს, საქართველოში დაბადებულ, საქართველოს მოქალაქე ჯ. რ-ს, მომუშავეს, ი. რ-ის სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის – ... წლის ... მაისს დაბადებული ა. რ-ის სარჩენად დაეკისრა ალიმენტი ყველა სახის შემოსავლის 1/4, მაგრამ არანაკლებ შვილის ასაკის გათვალისწინებით საარსებო მინიმუმის 30%-ისა 2010 წლის 4 ნოემბრიდან შვილის სრულწლოვანებამდე, ამავე გადაწყვეტილებით განისაზღვრა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების მხარეთათვის დაკისრების საკითხი და დადგინდა ერთი თვის ალიმენტის დაუყოვნებლივ ანაზღაურება.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ი. რ-მა და მოითხოვა 2010 წლის 4 ნოემბრიდან შეიღის სრულწლოვანებამდე მოპასუხისათვის ალიმენტის დაკისრების ნაწილში ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი სასამართლო ბეჭდით დამონმებული გადაწყვეტილებითა და ცნობებით ირკვევა, რომ უკრაინის ლუგანსკის ოლქის პოპასნიანსკის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება ალიმენტის დაკისრების ნაწილში კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 11 დეკემბერს და ექვემდებარება აღსრულებას, გადაწყვეტილება უკრაინის ტერიტორიაზე ნაწილობრივ აღსრულებულია და ვალდებულება განისაზღვრება 2013 წლის 16 აპრილიდან, მოპასუხე ჯ. რ-ი დადგენილი წესით იყო ინფორმირებული საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე და ჩაბარდა სარჩელი თანდართული მასალებით, თუმცა საქმის განხილვაზე მოპასუხე არ გამოცხადებულა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 ივნისის განჩინებით ი. რ-ის შუამდგომლობა 2010 წლის 4 ნოემბრიდან 2013 წლის 16 აპრილამდე ჯ. რ-ის დაკისრებული ალიმენტის ნაწილში უკრაინის ლუგანსკის ოლქის პოპასნიანსკის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების ნაწილში დარჩა განუხილველად მხარის იურიდიული ინტერესის არარსებობის გამო, ხოლო ჯ. რ-ის 2013 წლის 16 აპრილიდან დაკისრებული ალიმენტის ნაწილში უკრაინის ლუგანსკის ოლქის პოპასნიანსკის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა ზემოხსენებული სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უკრაინის ლუგანსკის ოლქის პოპასნიანსკის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით ი. რ-ის სარჩელი ჯ. რ-ის მიმართ სრულად დაკმაყოფილდა, 1997 წლის

25 აგვისტოს, საქართველოში დაბადებულ, საქართველოს მოქალაქე ჯ. რ-ს, მომუშავეს, ი. რ-ის სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის – ... წლის ... მაისს დაბადებული ა. რ-ის სარჩენად დაეკისრა ალიმენტი ყველა სახის შემოსავლის 1/4, მაგრამ არანაკლებ შვილის ასაკის გათვალისწინებით საარსებო მინიმუმის 30%-ისა 2010 წლის 4 ნოემბრიდან შვილის სრულწლოვანებამდე, ამავე გადაწყვეტილებით განისაზღვრა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების მხარეთათვის დაკისრების საკითხი და დადგინდა ერთი თვის ალიმენტის დაუყოვნებლივ ანაზღაურება.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ი. რ-მა და მოითხოვა 2010 წლის 4 ნოემბრიდან შვილის სრულწლოვანებამდე მოპასუხისათვის ალიმენტის დაკისრების ნაწილში ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი სასამართლო ბეჭდით დამოწმებული გადაწყვეტილებითა და ცნობებით ირკვევა, რომ უკრაინის ლუგანსკის ოლქის პოპსნაინსკის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება ალიმენტის დაკისრების ნაწილში კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 11 დეკემბერს და ექვემდებარება აღსრულებას, გადაწყვეტილება უკრაინის ტერიტორიაზე ნაწილობრივ აღსრულებულია და ვალდებულება განისაზღვრება 2013 წლის 16 აპრილიდან, მოპასუხე ჯ. რ-ი დადგენილი წესით იყო ინფორმირებული საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე და ჩაბარდა სარჩელი თანდართული მასალებით, თუმცა საქმის განხილვაზე მოპასუხე არ გამოცხადებულა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი არ არსებობს ა-რც გადაწყვეტილების საქართველოს ტე-

რიტორიაზე აღსრულების ნაწილში, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა.

საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია.

ამდენად, უკრაინის ლუგანსკის ოლქის პოპასნიანსკის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება ჯ. რ-ის 2013 წლის 16 აპრილიდან ალიმენტის დაკისრების ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ ცნობილი უნდა იქნეს და მიექცეს საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ი. რ-ის შუამდგომლობა ჯ. რ-ის 2013 წლის 16 აპრილიდან ალიმენტის დაკისრების ნაწილში უკრაინის ლუგანსკის ოლქის პოპასნიანსკის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. უკრაინის ლუგანსკის ოლქის პოპასნიანსკის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება ჯ. რ-ის ი. რ-ის სასარგებლოდ 2013 წლის 16 აპრილიდან შვილის სრულწლოვანებამდე არასრულწლოვანი შვილის – ... წლის ... მამის დაბადებული ა. რ-ის სარჩენად ალიმენტის – ყველა სახის შემოსავლის 1/4-ის, მაგრამ არანაკლებ შვილის ასაკის გათვალისწინებით საარსებო მინიმუმის 30%-ის დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების  
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

**ბანრინება**

№ა-1114-შ-22-2013

1 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრია,  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი: განქორწინება**

**აღწერილობითი ნაწილი:**

საბერძნეთის ქ.სალონიკის პირველი ინსტანციის ერთნევ-რიანი სასამართლოს 2009 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილე-ბით ა. ბ-სა და დ. ბ-ის ერთობლივი განცხადება დაკმაყოფილდა, მეუღლეებს შორის არსებული ქორწინება შეწყვეტილად გამოც-ხადდა, აღიარებულ იქნა განმცხადებლების 2008 წლის 27 მა-ისს შედგენილი შეთანხმება, რომლითაც დარეგულირებულია არასრულწლოვანი შვილების მეურვეობის/მზრუნველობისა და მათთან ურთიერთობის საკითხი.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მო-მართა დ. ბ-ის წარმომადგენელმა ნ. გ-ემ და მოითხოვა განქორ-წინების ნაწილში დასახელებული გადაწყვეტილების საქართვე-ლოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობაზე დართული სასამართლო გადაწყვეტილე-ბის სათანადოდ დამონშმებული ასლით დადგენილია, რომ მხა-რეები საქმის განხილვის თაობაზე ინფორმირებული იყვნენ (ჰყავდათ საერთო წარმომადგენელი, წარადგინეს ერთობლივი განცხადება და სხვა), ირკვევა, რომ სამოქალაქო ქორწინება შედგა საქართველოში, ქ.თბილისში, საქმეში წარმოდგენილი მხარეთა პასპორტის ასლებით დადასტურებულია ისიც, რომ დ. და ა. ბ-ი საქართველოს მოქალაქეები არიან. შუამდგომლობას ასევე ერთვის მხარეთა რწმუნებულის მიმართვა საქმის გან-მხილველი სასამართლოსადმი გადაწყვეტილების გასაჩივრება-ზე უარის თქმის შესახებ, ასევე წარმოდგენილია სასამართლოს მიერ გაცემული ცნობა, რომ ეს გადაწყვეტილება არ არის გასა-

ჩივრებული, ხოლო დ. ბ-ის წარმომადგენლის განმარტებით, გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, აღსრულებულია მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 მაისის განჩინებით დ. ბ-ის შუამდგომლობა საბერძნეთის ქ.სალონიკის პირველი ინსტანციის ერთნევრიანი სასამართლოს 2009 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა ზემოხსენებული სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საბერძნეთის ქ.სალონიკის პირველი ინსტანციის ერთნევრიანი სასამართლოს 2009 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით ა. ბ-სა და დ. ბ-ის ერთობლივი განცხადება დაკმაყოფილდა, მეუღლეებს შორის არსებული ქორწინება შეწყვეტილად გამოცხადდა, აღიარებულ იქნა განმცხადებლების 2008 წლის 27 მაისს შედგენილი შეთანხმება, რომლითაც დარეგულირებულია არასრულწლოვანი შვილების მეურვეობის/მზრუნველობისა და მათთან ურთიერთობის საკითხი.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა დ. ბ-ის წარმომადგენელმა ნ. გ-ემ და მოითხოვა განქორწინების ნაწილში დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობაზე დართული სასამართლო გადაწყვეტილების სათანადოდ დამონმებული ასლით დადგენილია, რომ მხარეები საქმის განხილვის თაობაზე ინფორმირებული იყვნენ (ჰყავდათ საერთო წარმომადგენელი, წარადგინეს ერთობლივი განცხადება და სხვა), ირკვევა, რომ სამოქალაქო ქორწინება შედგა საქართველოში, ქ.თბილისში, საქმეში წარმოდგენილი მხარეთა პასპორტის ასლებით დადასტურებულია ისიც, რომ დ. და ა. ბ-ი საქართველოს მოქალაქეები არიან. შუამდგომლობას ასევე ერთვის მხარეთა რწმუნებულის მიმართვა საქმის განმხილველი სასამართლოსადმი გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმის შესახებ, ასევე წარმოდგენილია სასამართლოს

მიერ გაცემული ცნობა, რომ ეს გადაწყვეტილება არ არის გასაჩივრებული, ხოლო დ.ბ-ის წარმომადგენლის განმარტებით, გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, აღსრულებულია მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, საბერძნეთის ქ.სალონიკის პირველი ინსტანციის ერთნევრიანი სასამართლოს 2009 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება მხარეთა განქორწინების ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ ცნობილი უნდა იქნეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. დ. ბ-ის შუამდგომლობა საბერძნეთის ქ.სალონიკის პირველი ინსტანციის ერთნევრიანი სასამართლოს 2009 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საბერძნეთის ქ.სალონიკის პირველი ინსტანციის ერთნევრიანი სასამართლოს 2009 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება დ. ბ-სა და ა- ბ-ის განქორწინების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების  
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

**ბანრინება**

№ა-2617-შ-60-2013

24 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიჭვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** განქორწინება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ნიქოზიის საოჯახო სასამართლოს 2012 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (განაჩენი) ფ. კ-ბ-სა და თ. ბ-ეს შორის თბილისის ქორწინების სასახლეში 1999 წლის 6 ნოემბერს რეგისტრირებული ქორწინება ბათილად იქნა მიჩნეული, ვინაიდან ქორწინებას მოპასუხის მიერ მიადგა გამოუსწორებელი ზიანი, რის გამოც, სასამართლომ განაჩენი მიიჩნია განქორწინების განაჩენად.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ფ. კ-ბ-ის წარმომადგენელმა რ. ბ-ემ და მოთხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების (განაჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამონმებული გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ მოპასუხე თ. ბ-ე, მიუხედავად ჯეროვანი ინფორმირებისა, საქმის განხილვაზე არ გამოცხადებულა, საოჯახო სასამართლოს განაჩენი არ გასაჩივრებულა და ძალაშია შესული. საქართველოს გენერალური საკონსულოს მიერ ლეგალიზებული ცენტრალური მაკედონიის პერიფერიის გენერალური მდივნის გადაწყვეტილების თანახმად, ფ. კ-ამ მიიღო საბერძნეთის მოქალაქეობა და მისი სახელი და გვარი შეიცვალა ფ. კ-ი, საბოლოოდ განისაზღვრა ფ. კ-ბ-ი. საქმეზე დართული, აპოსტილით დამონმებული განქორწინების მონმობის თანახმად, №399/2012 განაცხადის შემთხვევაში, საოჯახო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და განქორწინების ბრძანება არ საჭიროებს ლეგალიზაციასა და სხვა



პროცედურებს, ანალოგიური ვითარებაა გადმოცემული ადვოკატ ი. გ-ეს წერილობით განმარტებაში. შუამდგომლობას ასევე ერთვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის გადაწყვეტილების ასლი ფ. გ-ბ-ის დაბადებისა და ქორწინების აქტის ჩანაწერებში შესწორების თაობაზე, 1999 წლის 6 ნოემბერს გაცემული ქორწინების მოწმობისა და მისი ბერძნულენოვანი თარგმანის ასლი, ასევე ფ. კ-ას ქორწინებისა და დაბადების სააქტო ჩანაწერები (მოწმობები).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 12 სექტემბრის განჩინებით ფ. კ-ბ-ის შუამდგომლობა ნიქოზიის საოჯახო სასამართლოს 2012 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილების (განაჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ფ. კ-ბ-ის შუამდგომლობა ნიქოზიის საოჯახო სასამართლოს 2012 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილების (განაჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ნიქოზიის საოჯახო სასამართლოს 2012 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (განაჩენი) ფ. კ-ბ-სა და თ. ბ-ეს შორის თბილისის ქორწინების სასახლეში 1999 წლის 6 ნოემბერს რეგისტრირებული ქორწინება ბათილად იქნა მიჩნეული, ვინაიდან ქორწინებას მოპასუხის მიერ მიადგა გამოუსწორებელი ზიანი, რის გამოც, სასამართლომ განაჩენი მიიჩნია განქორწინების განაჩენად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ფ. კ-ბ-ის წარმომადგენელმა რ. ბ-ემ და მოთხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების (განაჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამოწმებული გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ მოპასუხე თ.ბ-ე, მიუხედავად ჯეროვანი ინფორმირებისა, საქმის განხილვაზე არ გამოცხადებულა, საოჯახო სასამართლოს განაჩენი არ გასაჩივრებულა და ძალაშია შესული. საქართველოს გენერალური საკონსულოს მიერ ლეგალიზებული ცენტრალური მაკედონიის პერიფერიის გენერალური მდივნის გადაწყვეტილების თანახ-

მად, ფ. კ-ამ მიიღო საბერძნეთის მოქალაქეობა და მისი სახელი და გვარი შეიცვალა ფ. კ-ი, საბოლოოდ განისაზღვრა ფ. კ-ბ-ი. საქმეზე დართული, აპოსტილით დამონმებული განქორწინების მონმობის თანახმად, №399/2012 განაცხადის შემთხვევაში, საოჯახო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და განქორწინების ბრძანება არ საჭიროებს ლეგალიზაციას და სხვა პროცედურებს, ანალოგიური ვითარებაა გადმოცემული ადვოკატი ი. გ-ის წერილობით განმარტებაში. შუამდგომლობას ასევე ერთვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის გადაწყვეტილების ასლი ფ. გ-ბ-ის დაბადებისა და ქორწინების აქტის ჩანაწერებში შესწორების თაობაზე, 1999 წლის 6 ნოემბერს გაცემული ქორწინების მონმობისა და მისი ბერძნულენოვანი თარგმანის ასლი, ასევე ფ. კ-ას ქორწინებისა და დაბადების სააქტო ჩანაწერები (მონმობები).

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების (განაჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ყურადღებას გაამახვილებს საქმეში წარმოდგენილ კვიპროსის რესპუბლიკის იურიდიული სამსახურის მიერ 2013 წლის 8 ივლისს გაცემულ დოკუმენტზე – განქორწინების მონმობაზე და აღნიშნავს, რომ ამ მტკიცებულებით დასტურდება ნიქოზიის საოჯახო სასამართლოს 2012 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილების (განაჩენის) მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულების ფაქტი. ამ კუთხით სასამართლო მიუთითებს ასევე რ.ბ-ის განცხადებაზე, სადაც მხარის წარმომადგენელმა განსაზღვრა უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების (განაჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების იურიდიული ინტერესი, კერძოდ, ამ განმარტების თანახმად, შუამდგომლობის აღძვრის მიზანი სამოქალაქო რეესტრში განქორწინების პროცედურების დასრულებაა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების ცალკეულ საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო სამართლო უცხო ქვეყნის შუამდგომლობის ცნობისა და აღსრულების საკითხის გადაწყვეტის ყველა ეტაპზე საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობს ეროვნული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებით დადგენილი მართლწესრიგის საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის შესახებ მხარის შუამდგომლობა, პროცესუალური თვალსაზრისით, აღიარებითი სარჩელია, რომლის დაკმაყოფილებისათვის გადამწყვეტი მოთხოვნის ნამდვილი იურიდიული ინტერესია, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლისა. მოცემულ შემთხვევაში კი, ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების განმაპირობებლად ვერ იქნება მიჩნეული რ.ბ-ის მტკიცება იურიდიულ ინტერესთან დაკავშირებით, რადგანაც გადაწყვეტილება (განაჩენი), რომლის საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებასაც მხარე მოითხოვს, უკვე აღსრულებულია მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე და აღარ არსებობს მისი განმეორებით აღსასრულებლად მიქცევის წინაპირობა, ამასთანავე, პალატა მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ ნიქოზიის საოჯახო სასამართლოს 2012 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილების (განაჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა მხარის მიერ დასახული მიზნის მიღწევისათვის საკმარისი საფუძველია, რადგანაც, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ფ. კ-ბ-ის შუამდგომლობა ნიქოზიის საოჯახო სამართლოს 2012 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილების (განა-

ჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ამავე გადანყვეტილების (განაჩენის) აღსასრულებლად მიქცევაზე მხარეს უარი უნდა ეთქვას მოთხოვნის იურიდიული ინტერესის არარსებობის გამო.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ფ. კ-ბ-ის შუამდგომლობა ნიქოზიის საოჯახო სასამართლოს 2012 წლის 8 ოქტომბრის გადანყვეტილების (განაჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე ნიქოზიის საოჯახო სასამართლოს 2012 წლის 8 ოქტომბრის გადანყვეტილება (განაჩენი), რომლითაც ფ. კ-ბ-სა და თ. ბ-ეს შორის თბილისის ქორწინების სასახლეში 1999 წლის 6 ნოემბერს რეგისტრირებული ქორწინება ბათილად იქნა მიჩნეული.

3. ფ. კ-ბ-ის შუამდგომლობა ნიქოზიის საოჯახო სასამართლოს 2012 წლის 8 ოქტომბრის გადანყვეტილების (განაჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს იურიდიული ინტერესის არარსებობის გამო.

4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების  
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

**ბანჩინება**

№ა-2837-შ-69-2013

28 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიჭვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** განქორწინება

**აღწერილობითი ნაწილი:**

უკრაინის ქ.მიკოლაევის ლენინის რაიონის სასამართლოს 2012 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებით ვ. ი-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა 2011 წლის 9 აგვისტოს ქ.მიკოლაევის ქალაქის იუსტიციის სამმართველოს მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ლენინის რაიონული განყოფილების მიერ რეგისტრირებული ქორწინება, რაზეც ქორწინების შესახებ აქტების რეგისტრაციის წიგნში მოხდენილია ჩანერა ნომრით 462, მოქალაქე ვ. ი-სა და ი. ვ. ასულ ვ-ას შორის.

ვ. ი-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა დასახელებულ ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 სექტემბრის განჩინებით ვ. ი-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ვ. ი-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ უკრაინის ქ.მიკოლაევის ლენინის რაიონის სასამართლოს 2012 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებით ვ. ი-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა 2011 წლის 9 აგვისტოს ქ.მიკოლაევის ქალაქის იუსტიციის სამმართველოს მოქალაქე-

თა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ლენინის რაიონული განყოფილების მიერ რეგისტრირებული ქორწინება, რაზეც ქორწინების შესახებ აქტების რეგისტრაციის წიგნში მოხდენილია ჩანერა ნომრით 462, მოქალაქე ვ. ი-სა და ი. ვ. ასულ ვ-ას შორის.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, უკრაინის ქ.მიკოლაევის ლენინის რაიონის სასამართლოს 2012 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ვ. ი-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა 2011 წლის 9 აგვისტოს ქ.მიკოლაევის ქალაქის იუსტიციის სამმართველოს მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ლენინის რაიონული განყოფილების მიერ რეგისტრირებული ქორწინება, რაზეც ქორწინების შესახებ აქტების რეგისტრაციის წიგნში მოხდენილია ჩანერა ნომრით 462, მოქალაქე ვ. ი-სა და ი. ვ. ასულ ვ-ას შორის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ვ. ი-ის შუამდგომლობა უკრაინის ქ.მიკოლაევის ლენინის რაიონის სასამართლოს 2012 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას უკრაინის ქ.მიკოლაევის ლენინის რაიონის სასამართლოს 2012 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ვ. ი-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა 2011 წლის 9 აგვისტოს ქ.მიკოლაევის ქალაქის იუსტიციის სამმართველოს მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ლენინის რაიონული განყოფილების მიერ რეგისტრირებული ქორწინება, რაზეც ქორწინების შესახებ აქტების რეგისტრაციის წიგნში მოხდენილია ჩანწერა ნომრით 462, მოქალაქე ვ. ი-სა და ი. ვ. ასულ ვ-ას შორის.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-2963-შ-75-2013

28 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე**

**დავის საგანი:** განქორწინება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გერმანიის კონიგშტაინ იმ ტაუნუსის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით გაუქმდა მხარეებს (ი. ა-ი და ა. ა-ი) შორის 1998 წლის 24 ოქტომბერს თბილისის (საქართველო) მმარის ბიუროს მიერ რეგისტრირებული ქორწინება, რეგისტრაციის ნომრით: 247/1998.

ი. ა-მა, წარმომადგენელ ე. გ-ის მეშვეობით, შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა დასახელებულ ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 სექტემბრის განჩინებით ი. ა-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ი. ა-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის კონიგშტაინ იმ ტაუნუსის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით გაუქმდა მხარეებს (ი. ა-ი და ა. ა-ი) შორის 1998 წლის 24 ოქტომბერს თბილისის (საქართველო) მმჩის ბიუროს მიერ რეგისტრირებული ქორწინება, რეგისტრაციის ნომრით: 247/1998.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, გერმანიის კონიგშტაინ იმ ტაუნუსის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც გაუქმდა მხარეებს (ი. ა-ი და ა. ა-ი) შორის 1998 წლის 24 ოქტომბერს თბილისის (საქართველო) მმჩის ბიუროს მიერ რეგისტრირებული ქორწინება, რეგისტრაციის ნომრით: 247/1998, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და



## დაადგინა:

1. ი. ა-ის შუამდგომლობა გერმანიის კონიგშტაინ იმ ტაუნუსის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 17 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის კონიგშტაინ იმ ტაუნუსის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც გაუქმდა მხარეებს (ი. ა-ი და ა. ა-ი) შორის 1998 წლის 24 ოქტომბერს თბილისის (საქართველო) მმაჩის ბიუროს მიერ რეგისტრირებული ქორწინება, რეგისტრაციის ნომრით: 247/1998.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

### განჩინება

№ა-2342-შ-54-2013

28 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: განქორწინება

### აღწერილობითი ნაწილი:

თურქეთის რესპუბლიკის ანკარის მე-8 საოჯახო სასამართლოს 2006 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით (გადაწყვეტილების №2006/1214, ძირითადი №2006/620) განქორწინდნენ მოპასუხე ჯ. თ. დ-ან (რეესტრში რეგისტრირებული: ქ.სივასი, კ. რაიონი, სოფელი დ-ი, ტომი №48, სვეტი №54, მამის სახელი – ფ., დედის სახელი – ფ., დაბადებული – ..., თ/რ პირადი №...) და

მოსარჩელე თ. რ-ე (რეესტრში რეგისტრირებული იმავე მისამართზე, საქართველოს მოქალაქე, მამის სახელი – ა., დედის სახელი – მ., დაბადებული – .....წ.).

თ. რ-ემ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება დასახელებულ ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 17 ივლისის განჩინებით თ. რ-ეს დაევალა აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში წარმოედგინა დამონმებული ცნობა იმის შესახებ, რომ თურქეთის რესპუბლიკის ანკარის მე-8 საოჯახო სასამართლოს 2006 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილების (გადაწყვეტილების №2006/1214, ძირითადი №2006/620) აღსრულება არ მომხდარა ამ გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

2013 წლის 24 ივლისს თ. რ-ემ განცხადებით მომართა საკაცო სასამართლოს, სადავ დააზუსტა, რომ იგი მოითხოვდა ანკარის შესაბამისი სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ თ. რ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ თურქეთის რესპუბლიკის ანკარის მე-8 საოჯახო სასამართლოს 2006 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით (გადაწყვეტილების №2006/1214, ძირითადი №2006/620) განქორწინდნენ მოპასუხე ჯ. თ. დ-ან (რეესტრში რეგისტრირებული: ქ.სივასი, კ. რაიონი, სოფელი დ-ი, ტომი №48, სვეტი №54, მამის სახელი – ფ., დედის სახელი – ფ., დაბადებული – ..., თ/რ პირადი №...) და მოსარჩელე თ. რ-ე (რეესტრში რეგისტრირებული იმავე მისამართზე, საქართველოს მოქალაქე, მამის სახელი – ა., დედის სახელი – მ., დაბადებული – .....წ.).

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და

მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, თურქეთის რესპუბლიკის ანკარის მე-8 საოჯახო სასამართლოს 2006 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება (გადაწყვეტილების №2006/1214, ძირითადი №2006/620) იმ ნაწილში, რომლითაც განქორწინდნენ მოპასუხე ჯ. თ. დ-ან (რეესტრში რეგისტრირებული: ქ.სივასი, კ. რაიონი, სოფელი დ-ი, ტომი №48, სვეტი №54, მამის სახელი – ფ., დედის სახელი – ფ., დაბადებული ..., თ/რ პირადი №...) და მოსარჩელე თ. რ-ე (რეესტრში რეგისტრირებული იმავე მისამართზე, საქართველოს მოქალაქე, მამის სახელი – ა., დედის სახელი – მ., დაბადებული – ...წ.), საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. თ. რ-ის შუამდგომლობა თურქეთის რესპუბლიკის ანკარის მე-8 საოჯახო სასამართლოს 2006 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილების (გადაწყვეტილების №2006/1214, ძირითადი №2006/620) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას თურქეთის რესპუბლიკის ანკარის მე-8 საოჯახო სასამართლოს 2006 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება (გადაწყვეტილების №2006/1214, ძირითადი №2006/620) იმ ნაწილში, რომლითაც განქორწინდნენ მოპასუხე ჯ. თ. დ-ან (რეესტრში რეგისტრირებული: ქ.სივასი, კ. რაიონი, სოფელი დ-ი, ტომი №48, სვეტი №54, მამის სახელი – ფ., დედის სახელი – ფ., დაბადებული – ..., თ/რ პირადი №...) და მოსარჩელე თ. რ-ე (რეესტრში რეგისტრირებული იმავე მისამართზე, საქართველოს მოქალაქე, მამის სახელი – ა., დედის სახელი – მ., დაბადებული – ...წ.).

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანჩინება

№ა-2994-შ-78-2013

28 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიჭვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** ქორწინების შეწყვეტა

### აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ხემნიციის პირველი ინსტანციის სასამართლოს სა-  
ოჯახო საქმეთა განყოფილების 2013 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებით შეწყდა მხარეებს (მ. მ-ს და რ. ა. მ-ს) შორის 2008 წლის 19 იანვარს ხემნიციის მმარის ბიუროში რეგისტრირებული ქორწინება, სარეგისტრაციო ნომრით 8/2008.

მ. მ-მა, წარმომადგენელ დ. გ-ის მეშვეობით, შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა დასახელებულ ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით მ. მ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ მ. მ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის ხემნიციის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2013 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებით შეწყდა მხარეებს (მ. მ-ს და რ. ა. მ-ს) შორის 2008 წლის 19 იანვარს ხემნიციის მმარის ბიუროში რეგისტრირებული ქორწინება, სარეგისტრაციო ნომრით 8/2008.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის

სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, გერმანიის ხემნიციის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2013 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც შეწყდა მხარეებს (მ. მ-ს და რ. ა. მ-ს) შორის 2008 წლის 19 იანვარს ხემნიციის მმარის ბიუროში რეგისტრირებული ქორწინება, სარეგისტრაციო ნომრით 8/2008, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მ. მ-ის შუამდგომლობა გერმანიის ხემნიციის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2013 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის ხემნიციის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2013 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც შეწყდა მხარეებს (მ. მ-ს და რ. ა. მ-ს) შორის 2008 წლის 19 იანვარს ხემნიციის მმარის ბიუროში რეგისტრირებული ქორწინება, სარეგისტრაციო ნომრით 8/2008.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანჩინება

№ა-2868-შ-71-2013

22 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის ქ.კიევის სალომენსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით ე. რ-ოს სარჩელი დაკმაყოფილდა. გ. ყ-ს ე. რ-ოს სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის – ... წლის ... ივნისს დაბადებული ნ. ყ-ის სარჩენად დაეკისრა ალიმენტის – ყველა სახის შემოსავლის 1/4-ის, მაგრამ შესაბამისი ასაკის ბავშვისათვის განკუთვნილი საარსებო მინიმუმის არანაკლებ 30%-ის გადახდა 2009 წლის 29 აგვისტოდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. გადაწყვეტილება შესრულებულ იქნა დაუყოვნებლივ ერთი თვის გადასახადი თანხის ფარგლებში. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 23 ნოემბერს და უკრაინის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

ე. რ-ომ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს უკრაინის ქ.კიევის სალომენსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 23 სექტემბრის განჩინებით ე. რ-ოს შუამდგომლობა უკრაინის ქ.კიევის სალომენსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ

ე. რ-ოს შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ უკრაინის ქ.კიევის სალომენსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით ე. რ-ოს სარჩელი დაკმაყოფილდა. გ. ყ-ს ე. რ-ოს სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის – ... წლის ... ივნისის დაბადებული ნ. ყ-ის სარჩენად დაეკისრა ალიმენტის – ყველა სახის შემოსავლის 1/4-ის, მაგრამ შესაბამისი ასაკის ბავშვისათვის განკუთვნილი საარსებო მინიმუმის არანაკლებ 30%-ის გადახდა 2009 წლის 29 აგვისტოდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. გადაწყვეტილება შესრულებულ იქნა დაუყოვნებლივ ერთი თვის გადასახადი თანხის ფარგლებში. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 23 ნოემბერს და უკრაინის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, უკრაინის ქ.კიევის სალომენსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ე. რ-ოს შუამდგომლობა უკრაინის ქ.კიევის სალომენსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტი-

ლები საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის ქ.კიევის სალომენსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ე.ა რ-ოს სარჩელი დაკმაყოფილდა. გ. ყ-ს ე. რ-ოს სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის – ... წლის ... ივნისს დაბადებული ნ. ყ-ის სარჩენად დაეკისრა ალიმენტის – ყველა სახის შემოსავლის 1/4-ის, მაგრამ შესაბამისი ასაკის ბავშვისათვის განკუთვნილი საარსებო მინიმუმის არანაკლებ 30%-ის გადახდა 2009 წლის 29 აგვისტოდან ბავშვის სრულწლოვანებამდე.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-2832-შ-68-2013

22 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ბელარუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის ლენინსკის რაიონის სასამართლოს 2013 წლის 8 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ჯ. ხ-ეს მოსარჩელე მინსკის მე-10 საქალაქო კლინიკური საავადმყოფოს ჯანდაცვის დაწესებულების სასარგებლოდ განუული სამედიცინო მომსახურებისათვის დაეკისრა 11745590 რუბლის, გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 587280 რუბლის, სულ – 12332870 რუბლის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2013 წლის 29 ივლისს და ბელარუსის



რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

მინსკის მე-10 საქალაქო კლინიკური საავადმყოფოს ჯანდაცვის დაწესებულების მთავარმა ექიმმა ვ. ი-მა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ბელარუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის ლენინსკის რაიონის სასამართლოს 2013 წლის 8 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 4 აპრილის განჩინებით მინსკის მე-10 საქალაქო კლინიკური საავადმყოფოს ჯანდაცვის დაწესებულების მთავარი ექიმი ვ. ი-ის შუამდგომლობა ბელარუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის ლენინსკის რაიონის სასამართლოს 2013 წლის 8 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა გაცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ მინსკის მე-10 საქალაქო კლინიკური საავადმყოფოს ჯანდაცვის დაწესებულების მთავარი ექიმი ვ. ი-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ბელარუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის ლენინსკის რაიონის სასამართლოს 2013 წლის 8 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ჯ. ხ-ეს მოსარჩელე მინსკის მე-10 საქალაქო კლინიკური საავადმყოფოს ჯანდაცვის დაწესებულების სასარგებლოდ განეული სამედიცინო მომსახურებისათვის დაეკისრა 11745590 რუბლის, გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 587280 რუბლის, სულ – 12332870 რუბლის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2013 წლის 29 ივლისს და ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული და-

მაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, ბელარუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის ლენინსკის რაიონის სასამართლოს 2013 წლის 8 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მინსკის მე-10 საქალაქო კლინიკური საავადმყოფოს ჯანდაცვის დაწესებულების მთავარი ექიმი ვ.ი-ის შუამდგომლობა ბელარუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის ლენინსკის რაიონის სასამართლოს 2013 წლის 8 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად ბელარუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის ლენინსკის რაიონის სასამართლოს 2013 წლის 8 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც ჯ. ხ-ეს მოსარჩელე მინსკის მე-10 საქალაქო კლინიკური საავადმყოფოს ჯანდაცვის დაწესებულების სასარგებლოდ განუული სამედიცინო მომსახურებისათვის დაეკისრა 11745590 რუბლის, გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 587280 რუბლის, სულ – 12332870 რუბლის გადახდა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## განჩინება

№ა-1813-შ-40-2013

9 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრია,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

სომხეთის რესპუბლიკის ტაუზუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2012 წლის 27 სექტემბრის განჩინებით ა. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გ. ს-ს ... წლის ... აგვისტოს დაბადებული ე. ს-ის ა. ხ-ის სასარგებლოდ სასამართლოსათვის მიმართვიდან – 2012 წლის 30 მაისიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე ყოველთვიურად დაეკისრა 20000 სომხური დრამის გადახდა, ასევე, მოპასუხეს სომხეთის რესპუბლიკის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 4800 სრ დრამის გადახდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ა. ხ-მა და მოითხოვა სომხეთის რესპუბლიკის ტაუზუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2012 წლის 27 სექტემბრის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი სასამართლო ბეჭდით დამოწმებული განჩინებითა და საქმის განხილველი სასამართლოს მიერვე გაცემული ცნობების შესწავლით დასტურდება, რომ მოპასუხე საქართველოს მოქალაქეა, ირკვევა, რომ გ. ს-ი საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე ჯეროვნად იყო ინფორმირებული, თუმცა საქმის განხილვაზე არ გამოცხადებულა, დასტურდება, რომ განჩინება არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში, ასევე წარმოდგენილია მტკიცებულება, რომლის თანახმადაც სახელმწიფო ბეგარის – 4800 სომხური დრამის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში

განჩინების სომხეთის ტერიტორიაზე აღსრულება შეუძლებელია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 12 ნოემბრის განჩინებით ა. ხ-ის შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2012 წლის 27 სექტემბრის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა ზემოხსენებული სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

მოცემულ შემთხვევაში შუამდგომლობის ავტორი ითხოვს საქართველოს ტერიტორიაზე სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2012 წლის 27 სექტემბრის განჩინების ცნობასა და აღსრულებას, რომლითაც ა. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გ. ს-ს ... წლის ... აგვისტოს დაბადებული ე. ს-ის ა. ხ-ის სასარგებლოდ სასამართლოსათვის მიმართვიდან – 2012 წლის 30 მაისიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე ყოველთვიურად დაეკისრა 20000 სომხური დრამის გადახდა, ასევე, მოპასუხეს სომხეთის რესპუბლიკის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 4800 სრ დრამის გადახდა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი სასამართლო ბეჭდით დამოწმებული განჩინებითა და საქმის განმხილველი სასამართლოს მიერვე გაცემული ცნობების შესწავლით დასტურდება, რომ მოპასუხე საქართველოს მოქალაქეა, ირკვევა, რომ გ. ს-ი საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე ჯეროვნად იყო ინფორმირებული, თუმცა საქმის განხილვაზე

არ გამოცხადებულა, დასტურდება, რომ განჩინება არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა აღიმენტის გადახდევინების ნაწილში საფუძვლიანია და ამ ნაწილში მისი დაკმაყოფილების ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ა. ხ-ის აღიმენტის ანაზღაურების ნაწილში შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი არ არსებობს არც გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების ნაწილში, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა.

რაც შეეხება შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნას საქართველოს ტერიტორიაზე სომხეთის რესპუბლიკის ტაფუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2012 წლის 27 სექტემბრის განჩინების იმ ნაწილში ცნობისა და აღსრულების შესახებ, რომლითაც გ. ს-ს დაევალა სახელმწიფო ბაჟის სახით სომხეთის რესპუბლიკის სასარგებლოდ 4800 სრ დრამის გადახდა, აღნიშნულ ნაწილში შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს იურიდიული ინტერესის არარსებობის გამო, კერძოდ:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების ცალკეულ საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო უცხო ქვეყნის შუამდგომლობის ცნობისა და აღსრულების საკითხის გადაწყვეტის ყველა ეტაპზე საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობს ეროვნული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს საერთო სასამართლო-

ები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხო ქვეყნის გადამწყვეტილებით დადგენილი მართლწესრიგის საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის შესახებ მხარის შუამდგომლობა, პროცესუალური თვალსაზრისით, აღიარებითი სარჩელია, რომლის დაკმაყოფილებისათვის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის თანახმად, გადამწყვეტი მოთხოვნის ნამდვილი იურიდიული ინტერესია. ა. ხ-ს კი, სომხეთის რესპუბლიკის სასარგებლოდ გ. ს-ის დაკისრებული სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიმართ ასეთი ინტერესი არ გააჩნია, შესაბამისად, მითითებულ ნაწილში მისი მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ამდენად, სომხეთის რესპუბლიკის ტაფუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2012 წლის 27 სექტემბრის განჩინება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ ცნობილი უნდა იქნეს და მიექცეს საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მხოლოდ ა. ხ-ის სასარგებლოდ გ. ს-ის დაკისრებული აღიმენტის გადახდევინების ნაწილში.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ა. ხ-ის შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის ტაფუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2012 წლის 27 სექტემბრის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. სომხეთის რესპუბლიკის ტაფუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2012 წლის 27 სექტემბრის განჩინება საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და აღსასრულებლად მიექცეს იმ ნაწილში, რომლითაც ა. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გ. ს-ს ... წლის ... აგვისტოს დაბადებული ე. ს-ის ა. ხ-ის სასარგებლოდ სასამართლოსათვის მიმართვიდან – 2012 წლის 30 მაისიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე ყოველთვიურად დაეკისრა 20000 სომხური დრამის გადახდა.

3. ა. ხ-ის შუამდგომლობას სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2012 წლის 27 სექტემბრის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ იმ ნაწილში, რომელითაც გ. ს-ს სომხეთის რესპუბლიკის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 4800 სრ დრამის გადახდა ეთქვას უარი.

4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-2845-შ-70-2013

9 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრია,  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ქ.ბროვარსკის სახალხო სასამართლოს 1981 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებით თ. შ. ძე მ-ს ... წლის ... ივლისს დაბადებული შვილის – თ. რჩენისათვის ა. ვ. ასული კ-ას სასარგებლოდ 1981 წლის 21 იანვრიდან ყოველთვიურად დაეკისრა ალიმენტი ყოველგვარი შემოსავლის 1/4 ნაწილი. ერთი თვის ალიმენტის გადახდის ნაწილში გადაწყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ა. კ-ამ და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება, კერძოდ, შუამდგომლობის ავტორმა განმარტა, რომ მოპასუხე დაკისრებულ ალიმენტს იხდიდა 1990 წლის ივნისის ჩათვლით, მოგ-

ვიანებით შეწყვიტა საალიმენტო ვალდებულების შესრულება. როგორც ა. კ-ის ცნობილი გახდა თ. მ-ი საქმიანობს რუსეთის ფედერაციაში და მას შესასრულებელი აქვს ბოლო 8 წლის საალიმენტო ვალდებულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად დასტურდება, რომ გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, ასევე, მოპასუხე ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე, თუმცა სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 16 სექტემბრის განჩინებით ა. კ-ას შუამდგომლობა უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ქ.ბროვარსკის სახალხო სასამართლოს 1981 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ქ.ბროვარსკის სახალხო სასამართლოს 1981 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებით თ. შ. ძე მ-ს ... წლის... ივლისის დაბადებული შვილის – თ. რჩენისათვის ა. ვ. ასული კ-ას სასარგებლოდ 1981 წლის 21 იანვრიდან ყოველთვიურად დაეკისრა ალიმენტი ყოველგვარი შემოსავლის 1/4 ნაწილი. ერთი თვის ალიმენტის გადახდის ნაწილში გადაწყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ა. კ-ამ და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება, კერძოდ, შუამდგომლობის ავტორმა განმარტა, რომ მოპასუხე დაკისრებულ ალიმენტს იხდიდა 1990 წლის ივნისის ჩათვლით, მოგვიანებით შეწყვიტა საალიმენტო ვალდებულების შესრულება. როგორც ა. კ-ის ცნობილი გახდა თ. მ-ი საქმიანობს რუსეთის ფედერაციაში და მას შესასრულებელი აქვს ბოლო 8 წლის საალიმენტო ვალდებულება.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმა-



რების ცალკეული საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დასახელებული ნორმის თანახმად, საკასაციო სასამართლო უცხო ქვეყნის შუამდგომლობის ცნობასთან დაკავშირებული გარემოებების სამართლებრივი შეფასებისა თუ საპროცესო მოქმედების შესრულებისას ხელმძღვანელობს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა ათი წელი მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება.

კანონის მითითებული დანაწესი იმპერატიულად ადგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას – 10 წელს, რომლის გასვლის შემდეგ აღნიშნული მოთხოვნა ხანდაზმულად მიიჩნევა და არ დაკმაყოფილება.

განსახილველ შემთხვევაში შემოტანილი შუამდგომლობითა და თანდართული მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებასაც მხარე მოითხოვს, კანონიერ ძალაში შევიდა 1981 წლის 16 თებერვალს, შუამდგომლობის ავტორმა კი სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით მომართა 2013 წლის 11 სექტემბერს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადის დარღვევით.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების ობიექტად მოიაზრება არა კანონიერ ძალაში შესული ნებისმიერი გადაწყვეტილება, არამედ – მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობაუნარიანი და აღსრულებადი გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ქ.ბროვარსკის სახალხო სასამართლოს 1981 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებას საქართველოს ტერიტორიაზე სამართლებრივი შედეგი ვერ მოჰყვება აღნიშნული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

ამდენად, ა. კ-ას შუამდგომლობა უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ქ.ბროვარსკის სახალხო სასამართლოს

1981 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. კ-ას შუამდგომლობა უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ქ.ბროვარსკის სახალხო სასამართლოს 1981 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.
2. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების  
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

**განჩინება**

№ვ-799-შ-97-2012

12 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ომსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2012 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით შპს „კ-ს“ შპს „ლ. და ა. ქ. ო-ას“ (შპს „ო-ა“) სასარგებლოდ 1 704 990 რუსული რუბლის გადახდა დაეკისრა, საიდანაც 1 495 975,85 რუბლი არის ძირი თანხა, 209 014,82

რუბლი – ჯარიმა, 30 572,72,72 რუბლი – სახელმწიფო ბაჟი.

2012 წლის 30 ივლისს შპს „ო-ამ“ ომსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების შესახებ შუამდგომლობით მიმართა.

2012 წლის 13 დეკემბერს საქართველოს უზენაეს სასამართლოს „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის 53-ე მუხლის საფუძველზე ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადებით მომართა ომსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლე ყ. შ. შ. შ.

განცხადებაზე თანდართული მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 11 ივნისს და მხარეები ინფორმირებულნი იყვნენ საქმის განხილვის თაობაზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ მინსკის კონვენციის 53-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, შუამდგომლობა გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვის თაობაზე წარედგინება ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ სასამართლოს, სადაც გადაწყვეტილება აღსრულებას ექვემდებარება. იგი ასევე შეიძლება წარედგინოს სასამართლოში, სადაც გამოტანილ იქნა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. ეს სასამართლო შუამდგომლობას გადასცემს სასამართლოს, რომელიც კომპეტენტურია გამოიტანოს გადაწყვეტილება ამ შუამდგომლობაზე.

იმავე კონვენციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, სასამართლო, რომელიც განიხილავს შუამდგომლობას გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვისა და აღიარების თაობაზე, შემოიფარგლება იმის დადგენით, რომ წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული პირობები დაცულია. იმ შემთხვევაში თუ პირობები დაცულია, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება იძულებითი აღსრულების შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული კონვენციის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და არც კონვენციის 55-ე მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი არსებობს.

კონვენციის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით იძულებითი აღსრულების წესი განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს იძულებითი აღსრულება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „ლ. და ა. ქ. ო-ას“ შუამდგომლობა ომსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2012 წლის 10 მაისის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ მინსკის კონვენციის 53-ე-55-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ომსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლე ჟ. შ-სა და შპს „ლ. და ა. ქ. ო-ას“ შუამდგომლობა ომსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2012 წლის 10 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და იძულებით აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად ომსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2012 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც შპს „კ-ს“ შპს „ლ. და ა. ქ. ო-ას“ სასარგებლოდ 1 704 990 რუსული რუბლის გადახდა დაეკისრა, საიდანაც 1 495 975,85 რუბლი არის ძირი თანხა, 209 014,82 რუბლი – ჯარიმა, 30 572,72,72 რუბლი – სახელმწიფო ბაჟი;

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

## საკიბედი

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება .....	3; 6; 9; 12; 16; 18; 24; 28; 31; 34; 37; 40; 44; 46; 49; 51; 53; 55; 59; 61; 63; 67; 69; 71; 73; 76; 78; 81; 85; 89; 91; 93; 97; 100; 102; 104; 106; 110; 113; 118; 120; 122; 125; 127; 129; 132; 136; 139
---	---